140
1955/3

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საბავშვო განყ.

ჟურნალი

№ 6
ივნისი
1955

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ბაბუას სიამაყე“

ფოტორეპროდუქცია სახალხო მხატვრის უჩა ჯაფარიძის სურათიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

პ ი ო ნ ე რ ი

№ 6

ივნისი, 1955 წ

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი

წელიწადი XXIX

6904

მზიას ბანაკში მიუხარია

«მე და ჩემ ტოლებს ბანაკი გველის,
და იქ მივდივართ, მიგვიხარია.
იქ თავს იწონებს ვარდებით ველი,
იქ ჩიტუნებიც ბლომად არიან.

იქ მოჩუხჩუხე ნაკადულია,
წყარო, ხშირი ტყე და სხვა მრავალი...
მთები წალკოტით დახატულია
და გრილი სიო ჰქრის ონავარი.

იქ მდინარეა ისე ულევი,
ვით დღეს სიმღერა და სიხარული,
ჩვენ ხშირად მისკენ გავეშურებით
და გადავცურავთ ტალღებს მხარულით»...

მეჭიკჭიკება პატარა მზია,
თან მეხვეწება — ვუთხრა ლექსები;
მეც ვმღერი, ვმღერი, რაც შემიძლია,
და გულით მზიას ვეალერსები.

ლადო ასათიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ ე გ ო ბ რ ე ბ ი

ფოტოეტიუდი შ. ჩხეტიანისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ ო ს კ ო ვ ი

ქვეყნად მრავალი მწვერვალი არის,—
მოსკოვი ჰქვია ყველაზე მაღალს!
იქიდან მოჩანს თბილისში მტკვარი
როგორ მიაფრენს ბობოქარ ტალღას;

იქიდან მოჩანს ხუანხეს ველი
და უკრაინის უსაზღვრო სტეპი,
სადღაც უღონოდ მღელვარე ღელე
და ნიაგარის ნიაღვრის შხეფი;

იქიდან მოჩანს, ვით ხელისგულზე,
კაცობრიობის გზა-მომავალი.
ქვეყნად მწვერვალი არის მრავალი
და ყველა ერთად მხოლოდ მას უმზერს...

იგი ვვინათებს დღითა **და ღამით!**
მზიანი დღეა თუ **ბორგავს** ნისლი,
ძნელბედობა გვაქვს თუ ლხინის ჟანი,
უხვად გვეფრქვევა სხივები მისი.

იგი გვინათებს სანატრელ მიზანს
და მისი სითბო გვაჩნია გულზე.
ჩვენ ყველგან ვხედავთ სინათლეს მისას,
როგორც ძმობის და სიმტკიცის ფუძეს.

მოსკოვს უპყრია მშვიდობის დროშა
და მას გუშაგობს გმირული შრომით,
რომ დედის **გ**ულმა და **გ**ულმა ნორჩმა
არ იგრძნონ სუსხი სისხლიან ომის.

ყველა მშობელი და ბავშვიც ყველა
ანთებულია იმედით, რწმენით,
რომ მათ სიცოცხლეს და ფიქრთა ღელვას
მუდამ დაიცავს მოსკოვი ჩვენი.

ხუზა ბერულავა

ბავშვების დასაცავად

მთელი პროგრესული კაცობრიობა აღნიშნავს ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს, რომელიც ქალთა საერთაშორისო დემოკრატიულმა ფედერაციამ შემოიღო ომის საშიშროების ზრდასთან და ბევრ ქვეყანაში ბავშვთა მდგომარეობის საგრძნობ გაუარესებასთან დაკავშირებით.

ამჟამად, როდესაც ამერიკელი იმპერიალისტები და მათი ინგლისელი და ფრანგი დამქაშები გაძლიერებულ შეიარაღებას ეწევიან, გამალებით ემზადებიან ახალი სისხლისმღვრელი ომისათვის, აიარაღებენ დასავლეთ გერმანიას და ატომური ომით იმუქრებიან, მშვიდობის შენარჩუნებისათვის, ბავშვების დაცვისათვის ბრძოლას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის საკითხთა ორგანიზაციის გენერალური დირექტორის ლუთერ ევანსის განცხადებით, მთელ მსოფლიოში 550 მილიონი ბავშვი, ესე იგი ბავშვების ნახევარზე მეტი, მოწყვეტილია სწავლა-განათლებას. ამას, რასაკვირველია, გარდა მშრომელთა გაღატაკებისა, ხელს უწყობს სკოლების ნაკლებობა და მასწავლებელთა დაბალი ხელფასი. კაპიტალისტური ქვეყნების მრავალი ათასი ბავშვი, სწავლა-განათლებას მოკლებული, მშიერი და ტიტველი, იძულებულია შრომითი საქმიანობა 8-10 წლის ასაკში დაიწყოს.

უაღრესად მძიმე მდგომარეობაშია, აგრეთვე, კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელთა ბავშვების ჯანმრთელობის დაცვის საქმე. კაპიტალისტურ ქვეყნებში დღითიდღე იზრდება ბავშვთა სიკვდილიანობა.

სულ სხვა სურათია სოციალიზმისა და დემოკრატიის ბანაკის ქვეყნებში, სადაც ბავშვებზე და მოზარდ თაობაზე ზრუნვა უმნიშვნელოვანეს სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ საქმედ არის ქცეული. კაპიტალისტური ქვეყნის მრავალმა დედამ იცის, რომ არსებობს საბჭოთა კავშირი, არსებობენ სოციალიზმისა და დემოკრატიის ქვეყნები, სადაც ყველა ბავშვი სწავლობს, სადაც სახელმწიფო და ხალხი ზრუნავენ ბავშვების ჯანმრთელობისათვის, სადაც ახალგაზრდას ყველა პირობა აქვს შექმნილი განავითაროს თავისი ნიჭი, გახდეს პატიოსანი მოქალაქე.

სწორედ ამიტომ იბრძვიან კაპიტალისტური და კოლონიური ქვეყნების დედები საბჭოთა კავშირის მშრომელებთან ერთად ომის გამჩაღებლების წინააღმდეგ ბავშვებისა და ახალგაზრდობის უკეთესი მომავლისათვის.

დედამიწის ყველა კუთხეში ქალები ქმნიან ორგანიზაციებს, იწვევენ კონფერენციებს, ხალხმრავალ კრებებს, აგროვებენ ხელმოწერას ომის წინააღმდეგ, მასობრივი მოსპობის საშუალებათა აკრძალვისათვის, თავიანთი ოჯახებისა და შვილების დასაცავად.

საბჭოთა ქალები, მსოფლიოს ყველა ქალებთან ერთად, როგორც ყოველთვის, თავიანთ საპატიო წვლილს შეიტანენ მშვიდობის განმტკიცებისა და ბავშვთა დაცვის საქმეში.

ნინო ჯავახიშვილი,
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, საბჭოთა ქალების ანტიფაშისტური კომიტეტის წევრი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარიკა ჯაფარიძე

ნახ. კ. მახარაძისა

წერილი

მოთხრობა

ფოსტალიონმა წერილი მიუტანა მეცხრეკლასელებს. რა კარგი იქნებოდა ერთი დღით ადრე მიეღოთ ის ბარათი. უეჭველად ჩაფიქრდებოდნენ; არც ის ამბავი მოხდებოდა და პასუხსაც თამამად დაწერდნენ. წინადღით იყო, სიტყვა მისცეს კლასის ხელმძღვანელს, ამიერიდან ღირსეულად მოვიქცევითო. სიტყვა სიტყვად დარჩა, თვითონაც არ იცოდნენ, პირველად ვინ დაარღვია პირობა.

იქნებ არც ეგრძნოთ დანაშაული ის ბარათი რომ არ მიეღოთ!

გასულ წელთან შედარებით გამოცვლილიყვნენ მეცხრეკლასელი ბიჭები: ტანი აეყარათ, ხმა დაბოხებოდათ, საულვაშე ღინღილი ამლოდათ. გოგონებიც წამოზრდილიყვნენ. გარეგნობასთან ერთად თითქოს ხასიათიც შეცვლოდა ზოგს; ახლა მათი კლასიდან მასწავლებლები ხშირად გაჯავრებული გადიოდნენ და კლასის ხელმძღვანელს შესჩიოდნენ.

იმ დღესაც ასე დაიწყო: პირველ გაკვეთილზევე არ დაეცადეს ალგებრის მასწავლებელს ახალი მასალის ახსნა. ასე გაგრძელდა შემდეგაც. ბოლოს ქიმიის გაკვეთილი ჰქონდათ. ქიმიაც უყვართ მეცხრეკლასელებს და კლასის ხელმძღვანელიც — ყოველთვის გულისყურით უსმენდნენ პატივცემულ ნინოს, ახლა კი... ნინო მასწავლებელი რამდენჯერმე შეჩერდა გაკვეთილის ახსნის დროს და გაკვირვებით გადახედა კლასს. გაკვეთილის დამთავრებას ცოტაღა აკლდა, მასწავლებელი ფორმულას წერდა დაფაზე; ჩურჩული გაისმა და ერთბაშად ისეთი ხარხარი ატყდა, რომ მასწავლებელი სწრაფად შებრუნდა მოსწავლეებისაკენ.

არჩილს ჯამბაზის ნიღაბი გაეკეთებია და იგრიხებოდა.

— ნიღაბი მოიხსენი, — მშვიდად უთხრა მასწავლებელმა, — თუ გაკვეთილის მოსმენა არ გინდა, დატოვე კლასი და დერეფანში დამიცადე.

არჩილი ჯიუტად იდგა, კლასიდან გასვლას არ აპირებდა, მაგრამ როდესაც მასწავლებელს თვალებში შეხედა, ადგილიდან მოწყდა და კარები ხმაურით გაიხურა.

მასწავლებელმა ცარცი დადო და მაგიდასთან მივიდა.

ერთხანს უხმოდ იდგა. მერე დაჯდა, ჟურნალი გადაშალა და ზედ ხელები დააწყო. კლასში სიჩუმე ჩამოვარდა. ხედავდნენ მოსწავლეები, კარგად ხედავდნენ, თუ როგორ იყო კლასის ხელმძღვანელი გამშრალი და ხმაჩაკმედილი. ზარის ხმაზე ნელი ნაბიჯით გაემართა კარებისკენ. ნინო მასწავლებელი ჯერ დერეფანშიც არ იყო გასული, რომ კლასი ერთად ალაპარაკდა. თუ სხვა დროს გაკვეთილების დამთავრებისთანავე ჩანთებს ხელს დაავლებდნენ და გარბოდნენ, ახლა ერთიმეორეს ლაპარაკს აღარ აჯდიდნენ და საკლასო ოთახიდან არ გადიოდნენ.

მერვეკლასელმა გოგონებმა კარი შეაღეს და იქვე მდგომ გიგას შეეკითხნენ: რა მოხდა თქვენთან, რა ჩაიდინეთ ისეთი, რომ პატივცემული ნინო ცუდად გამხდარაო?

პასუხის მიცემა ვერ მოასწრეს, რომ კლასში არჩილი შემოიჭრა ყვირილით:

— წერილი! წერილი მოგვივიდა, ბიჭებო. წერილი! ესტატემ მომცა, ჩვენმა ფოსტალიონმა...

არჩილს ყურადღება არავინ მიაქცია. მან უფრო აიმაღლა ხმა.

— წერილი! წერილი! ყური დამიგდეთ, არ გინდათ წაგიკითხოთ?!

— ეგ რაღა მოიგონე! ვის რად უნდა შენი წერილი? — შეუტია ქეთინომ.

— არ გინდათ და ნუ გინდათ! ჩემი იყოს, მაგრამ გული არ დაგწყდეთ მერე.

— ვისი წერილია, ვისი? — მიეჭრა ზურა და ის იყო ხელიდან უნდა გამოეგლიჯა წერილი, რომ არჩილი მერხზე შეხტა.

მერხზე შეხტომა აგრე არ უნდაო და მას ზურა მიჰყვა, ზურას — გოგი და კოტე.

— დამაცათ, წერილი მე მოვიტანე და მე წაგიკითხავთ, — ყვიროდა არჩილი. — იცოდეთ, არავის დაგანებებთ, დავხევ და არ დაგანებებთ!

— კარგი, ჰო, გვითხარი ვისია, — ჩამოხტა ძირს ზურა და მკლავებით ბიჭების თავდასხმა მოიგერია.

— „მეშვიდე სკოლა, მეცხრე მეორე კლასი“...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიმღების სახელი და გვარი არ აწერია, — თქვა არჩილმა, კონვერტს თავი წაახია და ოთხადგაკეცილი ქაღალდი ამოიღო.

— ბიჭოს, ეს რა წერია!

— რა წერია? ხმამაღლა წაიკითხე!—აყვირდნენ ბიჭები.

„გადაეცით, ვინც ზის მასწავლებლის მაგიდიდან მარჯვნივ მეოთხე მერხზე პირველი“.

წუთით სიჩუმე ჩამოვარდა. გაოცებულმა ბიჭებმა ერთმანეთს გადახედეს.

— ეგ ხომ მე ვარ! — დაიძახა გიგამ.

— გიგასია წერილი, გიგასი! — აყვირდნენ ბიჭები.

— ნეტავი ვინ წერს? — ასწია წარბები რუსუდანმა.

— სიჩუმე! — დაიძახა გიგამ, არჩილს ბარათი გამოსტაცა, ბოლოძდე ჩაათვალიერა, ჩანთა და ქუდი გვერდზე დადო და ამხანაგებს გადახედა.

— რაღას უყურებ, წაიკითხე...

— წავიკითხავ, — თქვა წყნარად გიგამ და ისევ შეათვალიერა ამხანაგები.

გიგას მიბაძვით სხვებმაც დააწყეს ჩანთები და მერხებზე ჩამოსხდნენ.

„გამარჯვებათ, მეგობრებო! ვფიქრობ, ამ ბარათს ერთად წაიკითხავთ მთელი კლასი. თქვენგან დიდი მანძილით ვარ დაშორებული და მინდა წერილით გესაუბროთ. ჩვენთან უკვე საგრძნობლად ცივა, თქვენთან კი ისევ ტკბილი შემოდგომის სითბოა, ალბათ. ცხელი ზაფხული გვქონდა წელს, ზამთარი ჩვეულებრივ სუსხიანი იქნება, მაგრამ ჩვენს მესაზღვრეებს ზამთრის სიცივე და ზაფხულის პაპანება არ აშინებთ...“

— მესაზღვრეო? — გაიკვირვა თამარმა.

— ჩუმად! ჩუმად! — აყვირდნენ ბიჭები.

„საპასუხისმგებლო და ამავე დროს საინტერესოა ჩვენი სამსახური. თავისუფალ დროს ვსხედვართ მე და ჩემი მებრძოლები თბილ ბინებში და ათასი რამეთი ვერთობით. ახლაც, როცა წერილსა გწერთ, ზოგი ჭადრაკს თამაშობს, ზოგი წიგნს კითხულობს და ზოგიც ჩემსავით წერილსა წერს...

გწერთ წერილს და წარმოვიდგენ თქვენ სახეებს. მართალია, არც ერთს არ გიცნობთ, მაგრამ ვიცი, ისეთივენი იქნებით, როგორიც მე და ჩემი ამხანაგები ვიყავით სკოლის მერხებზე...“

— ვინ არის, აღარ იტყვი? გამაგებინეთ, რატომ მაინცა და მაინც ჩვენ გვწერს წერილს! — ვეღარ მოითმინა ზურამ.

— გაჩუმდი, — გაჰკრა მხარი კოტემ.

„მეგობრებო, მეც მაგ სასწავლებელში ვსწავლობდი, სადაც თქვენ სწავლობთ. ჩვენი კლასი იყო პირველ სართულზე, კარიდან მარცხნივ, მეორე ოთახში...“

— ეს ხომ ჩვენი საკლასო ოთახია! — გაიკვირვა ნიკომ.

— არა, მოთმინება აღარ მყოფნის... თქვით ვინ არის, ვინ აწერს ხელს! — წამოიძახა ზურამ, მაგრამ არჩილის მრისხანე სახეს რომ შეხედა, მყისვე ჩაჩუმდა.

„ამავე დროს ისიც უნდა გითხრათ, რომ თქვენი კლასის ხელმძღვანელი, პატივცემული ნინო, რომელსაც მე დედას ვუწოდებ, რადგან ბავშვობიდან უდედმამოს დედობა გამიწია, ჩემი კლასის ხელმძღვანელიც იყო.“

— რაო, გიგა, ნამდვილად ასე წერია? — წამოიჭრა ახლა ელიზბარი.

— აბა, მე ხომ არ მოვიგონე, — უსაყვედურა გიგამ.

„თქვენ ახლა მეცხრე კლასში ხართ. ცოტა დრო გაირბენს და თქვენც დატოვებთ სკოლის კარებს. ბევრი კარგი მაგონდება მაგ სკოლის კედლებში... არც თუ დიდი დრო გასულა მას შემდეგ. თქვენ შეგვცვალეთ ჩვენ, თქვენ დაიკავეთ ჩვენი მერხები და რომ შეეძლოს მერხმა ილაპარაკოს — იმ მერხმა, რომელიც ჩვენს საკლასო ოთახში მეოთხე რიგშია — გიამბობდათ ორი ბიჭის მეგობრობაზე, ერთი რომ 1945 წლის აპრილში ბერლინთან დაიღუპა და მეორე ახლა თქვენთან ბარათს რომ წერს.

ხშირად თვალწინ წარმომიდგება სახლი... ალბათ, თქვენც კარგად იცით ის — დაბალი მესერით შემოზღუდული ბაღჩიანი სახლი, სკოლის მახლობლად, რომლის სარკმელს პირველი მზის სხივი ხვდება. ვხედავ, როგორ ბრუნდება სკოლიდან პატივცემული ნინო, შეაღებს ბაღჩის კარს, ავა კიბეზე, საფოსტო ყუთს ჩახედავს, მოაფათურებს შიგ ხელს... იმვიათად, რომ სხვა წერილებთან ერთად არ ამოიღოს წერილი სამხედრო შტამპით.

ეს ჩემი წერილია. ვიცი, გამოარჩევს სხვებში,

არჩილი ჯიუტად იდგა...

წერილის კითხვა დაამთავრა გიგამ, ერთხანს ხელში ეჭირა გაშლილი ბარათი...

სწრაფად შევა ოთახში, სწრაფადვე გაიხდის პალტოს, მოიხდის ქუდს, თმებს გაისწორებს, სათვალეს მოირგებს, იქვე ფანჯარასთან მდგომ საწერ მაგიდას მიუჯდება და პირველად მას წაიკითხავს...

ვხედავ თავდახრილს, გაფაციცებით ჩასჩერებია რვეულებს. ხან წარბს შეიკრავს, ხან კი სახე გაებადრება და ასე ჩაიკითხავს რვეულს ბოლომდე. დაღლილი, სავარძლის ზურგს მიეყრდნობა, შეაჩერდება ჩარჩოში ჩასმულ სურათს, დედის თვალებს სიყვარულით რომ შეყურებს.

თუ ის ხშირად ღებულობს ჩემგან წერილებს, თვითონაც ასევე ხშირად მწერს. მწერს საყვარელი ქალაქის ამბებს: რა ამენდა, ახალი რა შეემატა ჩვენს ქალაქს. მე ისიც ვიცი, რომ თქვენი სკოლა ახალი კორპუსით გაიზარდა და ახლა სწავლა ერთ ცვლაში მიმდინარეობს. ამ წერილებში ვკითხულობ, თუ როგორ ახარებს თავისი აღზრდილების მიღწევები...

აი, ასეთ კარგ წერილებს ვღებულობდი მუდამ. არასოდეს მიმღია ნაღვლიანი, უიმედო წერილი. ის ხომ მარტოობას არასოდეს არ უჩივის, დაღუპულ შვილზე უმძიმს ლაპარაკი... მაგრამ უნდა გითხრათ, რომ ამ ბოლო დროს მის წერილებს რაღაც წუხილი შეეპარა — ფარული, გაუმჟღავნებელი წუხილი. არა, სიტყვით არას მწერს, მაგრამ ვგრძნობ, რაღაც საფიქრელი, რაღაც დარდი გასჩენია, რის თქმაც არ უნდა. მე ვერ ვბედავ შევეკითხო, ვთხოვო გამიზიაროს, თუ რა აწუხებს. იქნებ ვეღარ დაძლია შვილის სევდა? იქნებ მეც მოვენატრე? იქნებ ავადაა და არ მიმხელს? როგორ გავიგო სიმართლე, ვინ შეუძლია ამიხსნას?

ბევრი ვიფიქრე და არჩევანი თქვენზე შევაჩერე. რატომ? იმიტომ, რომ ხუთი წელია თავს დაგტრიალებთ, თქვენი კლასის ხელმძღვანელია, იმიტომ, რომ ყველაზე ახლობელი დღეს თქვენა ხართ მისთვის...

ველი თქვენგან პასუხს: ნუ დამიმალავთ, სიმართლე გამაგებინეთ, მომწერეთ დალაგებით, დაწვრილებით. სანამ ჩამოვალ, გაუფრთხილდით მას, როგორც დედას. პირობა დავდოთ, რასაც გწერთ, ჩვენი საიდუმლო იყოს. მთელ კლასს, როგორც უმცროსს და-ძმებს, ძმურ სალამს გიძღვნით“.

წერილის კითხვა დაამთავრა გიგამ, ერთ ხანს ხელში ეჭირა გაშლილი ბარათი, მერე გულდაგულ დაკეცა, კონვერტში ჩადო და გულის ჯიბეში შეინახა.

და როდესაც ყველა ერთად ალაპარაკდა, ერთიმეორის ცოდვა მოიგონეს და მათი ხმაური საზღვარს გადასცდა, ქეთინო ადგა და უნებურად ისე დახურა მერხი, რომ ზურამ მაჯაში ჩასჭიდა ხელი:

— წყნარად! ნელა არ შეგიძლია დახურო?!

— წყნარად! თქვენი ბრალია ყველაფერი! — შეუტია ქეთინომ.

— რა არის ჩვენი ბრალი? — შეცბა ზურა.

ვისი ბრალი იყო? ვინ იყო დამნაშავე?

ყველა, ყველა იყო დამნაშავე!

რა კარგი იქნებოდა ერთი დღით, ან რამდენიმე საათით ადრე მაინც მიეღოთ ბარათი, ახლა კი... ახლა, აბა ვის შეეძლო პასუხი გაეცა წერილზე?

საწერ მაგიდასთან იჯდა ნინო მასწავლებელი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

• • •

ბინდდებოდა, როცა გოგი ბაღჩას მიუახლოვდა და მესერთან არჩილი შენიშნა. მოულოდნელობისაგან შედგა და უკან გაბრუნება დააპირა, მაგრამ იქვე მომავალ ზურას მოკრა თვალი...

და ასე, წინასწარ შეთქმულებივით მოიყარა მთელმა კლასმა თავი. ბოლოს გიგა მოვიდა; ამხანაგები რომ შენიშნა, გაკვირვებისაგან შედგა და სიტყვა ვერ დაძრა.

ერთ ხანს დუმდნენ.

— შევიდეთ... — თქვა ბოლოს ვიღაცამ.

მაგრამ შესვლა ვერავინ გაბედა. სხვა დროს რომ ერთმანეთს არ დააცდიდნენ, ახლა პირველობა ვერავინ ითავა. როგორც იქნა, ბაღჩის კარმა გაიჭრიალა. კიბესთან შეჯგუფდნენ მეცხრეკლასელები.

არჩილმა გიგას ხალათზე ჩამოკრა ხელი და ანიშნა კიბეზე ასულიყო. გიგამ საფეხურზე ფეხი შესდგა, მაგრამ კიბის თავზე საფოსტო ყუთს მოკრა თვალი, სწრაფად მიბრუნდა და არჩილს უარის ნიშნად თავი გაუქნია.

ფანჯრის ნახევრად ღია დარაბაში შუქი გამოკრთოდა. საწერ მაგიდასთან იჯდა ნინო ძასწავლებელი. შუბლზე ჭაღარა ჩამოცვენოდა, ნიდაყვებით მაგიდას დაყრდნობოდა, ხელისგულები საფეთქლებზე შემოეჭდო და დაჟინებით მისჩერებოდა რაღაცას. თვალი გააყოლეს და შენიშნეს: ჩარჩოში ჩასმული სურათი იდგა მაგიდაზე, იქვე იდო გახსნილი ბარათი...

გიგამ სარკმელს მიადო თითი, შეჩერდა, მაგრამ ამხანაგების უსიტყვო თხოვნამ სითამამე შემატა, ჯერ ოდნავ შეეხო მინას, მერე კი გაბედულად დააკაკუნა...

მასწავლებელი შეკრთა, თავი აიღო. ადგა. ფანჯარას მიუახლოვდა, დარაბა მთლიანად გამოაღო, ფარდა გადასწია, დააკვირდა, დააკვირდა... დიდხანს იყურა სარკმელში, მოღუშული წარბები თანდათან გაეხსნა, ნაოჭები გადაეყარა, მხრებში გაიშალა, თითქოს გამაღლდა კიდეც, სხივი გადმოეფრქვა თვალთაგან, ღიმილმა გადაურბინა ბაგეზე, ერთბაშად სარკმელს ხელი გამოჰკრა და გააღო...

მის წინ თავდახრილი მეცხრეკლასელები იდგნენ.

ნიკოლას გილიენი

ი ა ვ ნ ა ნ ა

პატარა ზანგის გამოსაღვიძებელი

ნიკოლას გილიენი, მშვიდობის საერთაშორისო სტალინური პრემიის ლაურეატი, პროგრესული კუბელი პოეტია. ქვემოთ გამოქვეყნებული ლექსის შესახებ გილიენი ამბობს:

„ჩემს სამშობლოში პატარა ზანგებს იავნანას ჰანგზე არწევენ. ძალიან ბევრი იავნანა ძილისმომგვრელია. მე კი მიმაჩნია, რომ ზანგებმა უნდა გამოიღვიძონ და სწორედ ამიტომ დავწერე იავნანა, რომ გამოვაღვიძო პატარა ზანგი“.

ღუღუნებს მტრედი
ცისმარე დილით:
— შავტუხა ბიჭო,
გეყოფა ძილი.
ყველა ფეხზეა,
შრომის ეშხზეა:
ჭრელი პეპელა,
ლამაზფრთიანი,
მაიმუნი და
ზანტი ნიანგი.
ვიწრო სარკმელი,
ირგვლივ ნაცარი...
ჩქარა, უმაწვილო,
მზეს აასწარი!

შავტუხა ბიჭო,
დააგდე სხვენი!
მწვანედ გაშლილა
მთანი და ტყენი;
ხალხი ამდგარა,
მკლავმოუღლელი.
ისევ მათრახი,
ისევ უღელი.
ყველა ფეხზეა,
შრომის ეშხზეა.
მაღლა ობობა,
ირგვლივ ნაცარი...
ჩქარა, უმაწვილო,
მზეს აასწარი!



შავტუხა ბიჭო,
მაყვლისთვალებავ,
გამოიღვიძე,
კმარა წვალება!
და თქვი „ხაქვეყნოდ:
„ვამბობ ჩაგრული —
ძირს მჩაგვრელები!
ბატონს პანღური!“

ყველა ფეხზეა,
შრომის ეშხზეა.
ჩალის ლოგინი,
ირგვლივ ნაცარი...
ჩქარა, შავტუხავ,
მზეს აასწარი!

თარგმნა
გურამ გოგიაშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს. მარშაკი

მშობლიური ენის გაკვეთილი

ფართო საკლასო ოთახში
ბავშვებს შეჰხარის გული;
დილაა, ირგვლივ სიჩუმე
დამკვიდრებულა სრული.
მოსწავლეები თეთრზე
შავით და შავზე თეთრით
წერენ, — აზრები მათი
ნათელია და მკვეთრი.
წერენ კალმით და ცარცით,
წერენ გულდასმით, წყნარად,
ნათლად ჩანს ასო ყოველი:
— ჩვენ ომი არ გვსურს, არა!
დედა-მოსკოვს და სტალინგრადს
შენების მძლავრი ხმა შვენით,
აქ კი, — დაფაზე, რვეულში,
სიტყვებს აგებენ ბავშვები.
წერენ საბჭოთა ბავშვები,
დილა შუქს აფრქვევს ღვარად:
— მშვიდობა ქვეყნად ყველა ხალხს,
ჩვენ ომი არ გვსურს, არა!
მშვიდობა ქვეყნად ყველა ხალხს!
სივრცე ეყოფა ყველას;
პლანეტა უმდიდრესია!
პლანეტა უდიდესია! —
ჩვენი საბჭოთა ბავშვები
ასე სწავლობენ ენას.

თარგმნა ვახტანგ ძნელაძემ

ლენგსგონ ჰიუზი

კ ა რ უ ს ე ლ ი

მისტერ!
მაჩვენეთ ამ კარუსელზე
ზანგებისათვის ადგილი სად გაქვთ?!
ოჰ, რომ იცოდეთ, რა გულით მინდა, —
გავქანდე ლაღად...
იქ, საიდანაც ახლა მოვდივარ,
ზანგებს ადგილი ყველგან როდი აქვთ;
მატარებელში და მანქანებში
იმათ სულ ბოლო რიგებში ნახავთ,
რადგანაც, მისტერ, ზანგებს ისინი
არ თვლიან ხალხად...
მაგრამ მხიარულ ამ კარუსელზე,
როგორ მოვნახო სად არის ბოლო?!
მისტერ!
ო, მისტერ!
სად არის ცხენი, —
ზანგის ბიჭს უნდა, რომ გააქროლოს...

თარგმნეს
ვ. ნადარეიშვილმა და მ. მაჭავარიანმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გზა ცხოვრებისაკენ

(ნაწყვეტი მოთხრობიდან)

ბავშვებო! თქვენ იცნობთ ანტონ სიმონის-ძე მაკარენკოს და მის შესანიშნავ წიგნს „პედაგოგიური პოემა“. წიგნი მოგვითხრობს იმის შესახებ, თუ როგორ ზრდიდა და ასწავლიდა ბავშვებს ნიჭიერი საბჭოთა პედაგოგი. მასთან ქუჩიდან მოდიოდნენ შრომას და დისციპლინას მიუჩვეველი უპატრონო ბავშვები. ანტონ სიმონის-ძე მათ ზრდიდა ნამდვილ საბჭოთა ადამიანებად. იგი ჯერ გორკის სახელობის კოლონიას შემდეგ კი ძერჟინსკის სახელობის კომუნას ხელმძღვანელობდა.

მრავალი მოსწავლე გაჰყვა მისი აღმზრდელის ანტონ მაკარენკოს გზას. ვისაც „პედაგოგიური პოემა“ წაუკითხავს, ალბათ, ახსოვს, რომ ბოლოს ანტონ მაკარენკო ლაპარაკობს მის ერთ-ერთ აღზრდილ სიმონ კარაბანოვზე, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე უდედმამო ბავშვების აღზრდას შესწირა.

სწორედ კარაბანოვზე გვიამბობს ფ. ვიგდოროვა თავის ახალ მოთხრობაში „გზა ცხოვრებისაკენ“. ეს წიგნი დოკუმენტური არ არის, მაგრამ საფუძვლად „პედაგოგიური პოემის“ გმირის თავგადასავალი უდევს. ფ. ვიგდოროვა მოგვითხრობს, თუ როგორ წავიდა კარაბანოვი მაკარენკოს რჩევით ლენინგრადის ოლქში და მუშაობა დაიწყო ყველაზე ცუდ საბავშვო სახლში, სადაც უდისციპლინობის და უმეგობრობის გარდა უწესრიგობა და უსუფთაობა მეფობდა. გამუდმებული მუშაობით, როგორც ამას მაკარენკო ასწავლიდა, კარაბანოვმა მიაღწია იმას, რომ საბავშვო სახლში ბავშვები მეგობრულად ცხოვრობდნენ და სწავლობდნენ.

ვბეჭდავთ ნაწყვეტს ამ მოთხრობიდან. მოქმედება 1933 წლის ზაფხულში სწარმოებს. საბავშვო სახლში ბავშვები დაყოფილი იყვნენ რაზმებად. ყოველ რაზმს სათავეში ედგა ბავშვების მიერვე არჩეული ხელმძღვანელი. მეოთხე რაზმი უმცროსი ბავშვებისაგან შედგებოდა, რომელსაც სერგეი სტეკლოვი ხელმძღვანელობდა. მიტია კოროლიოვი კი—მეტსახელად კოროლი—მესამე რაზმის ხელმძღვანელი იყო.

მოგვითხრობს სიმონ ათანასეს-ძე კარაბანოვი.

❀

მეგობრები ასე არ იქცევიან

უუკოვის რაზმი სასადილოში მორიგეობს. ამ რაზმის ბავშვები თავიანთ ხელმძღვანელს ჰგვანან — ყველა რაღაცას იგონებს. ახლაც მენიუ გამოაკრეს. ეს ახალი ამბავია, წინათ ასეთი რამ არ ყოფილა. ახლა კი სასადილოს კარებზე ყოველდღე შეიძლება ახალი ფურცელი დაინახოთ, საჭმელების უბრალო ჩამოთვლით კი არა, განმარტებებით:

„უგრეხელის ფაფა — ყველაზე სასარგებლო“.

„კისელი რძით — ძალიან გემრიელი“.

უუკოველებს განსაზღვრები ამოუწურავია. ზოგჯერ თავს ნებას აძლევენ კრიტიკული შენიშვნებიც გააკეთონ:

„წვნიანი — წყალწყალა“.

„ჩაი — არც თუ ძალიან ტკბილი“.

მაგრამ ეს იშვიათად ხდება: ანტონინა გრიგოლის ასული უყვართ ბავშვებს და ცდილობენ არ აწყენინონ, თუმცა არც თუ ხშირად აქვთ ამის საფუძველი: იგი ჩინებულად ამზადებს.

ერთხელ სუფრები გამოგვიგზავნეს, ღმერთმა იცის როგორი, მაგრამ მაინც ახალი და თეთრი. მეორე დღეს, ბავშვებმა სასადილოში შესვლისთანავე დაინახეს, ერთი ამ სუფრათაგანი კედელზე კარებთან იყო გაკრული, გვერდით კი, ქაღალდის ფურცელზე, ისრები წარწერებს აჩვენებდა:

„დღეიდან მენიუს აღარ გამოვაკიდებთ. რა საჭიროა. სჯობია, დახედოთ სუფრას, რომელზედაც პლეტნიოვმა, კოროლიოვმა, რაზუმოვმა და ვოლოდინმა ისადილეს. ყველაფერს დაინახავთ: ყვითელი ლაქა — წვნიანისაა, ყავისფერი — კატლეტისაა, წითელი — კისელია... ამაში გარკვევა ადვილია“.

ბავშვები შეჯგუფებულიყვნენ. წინ მდგომნი იცინოდნენ უკანანი კი კისრებს იგრძელებდნენ, თითის წვერებზე დგებოდნენ და ხელის კვრით წინ წაწევას ცდილობდნენ. ხმაური მატულობდა. და უცებ, თითქოს ვინმემ უბრძანათო, სიცილი და ხმაური შეწყდა. კოროლი ტალღას მოარღვევდა. გაბრაზებულსა და ფერწასულს თვალები მოენუსხა.

კოროლი სუფრასთან მიიჭრა, მაგრამ დამინახა თუ არა, შეჩერდა და ხრინწიანი ხმით წარმოთქვა:

— სიმონ ათანასეს-ძევ, ჩამოხსნან!

— რატომ?

— იმიტომ, რომ ეგ მასხარად აგდებაა!

— გეწყინა? — ვუთხარი მე. — უუკოვ! სად არის უუკოვი? ეს უნდა ჩამოიხსნას, კოროლიოვს ეწყინა!

კვლავ იფეთქა სიცილმა. კოროლი შეტორტმანდა, უკმეხად შეტრიალდა და სწრაფად, თითქმის სირბილით გაემართა კარებისაკენ.

— უცბად ეწყინება ხოლმე... — გააგრძელა ვიღაცამ.

— მაგას მხოლოდ თავისთავზე სწყინს, — გამოეხმაურა სტეკლოვი, — როცა სხვებსა სწყინთ, რატომ იმას არ განიცდის!

— რა საჭიროა? — დაიყვირა უცებ პლეტნიოვმა. — შეხედეთ, ყველას სუფრა ჭუჭყიანია. თუ აქამდე მუშამბა ეფარა, —ახლა რაღა საჭიროა სუფრა? მუშამბას გადარეცხავ და მორჩა!

— მე კი სუფრის მომხრე ვარ, — დინჯად განაცხადა უუკოვმა, რომელიც აქამდე უკან ხელებდაწყობილი კედელთან იდგა. — მუშამბა რომ გვიფარია, ყველა ასე ფიქრობს: დიდი ამბავია, თუ დავაქცევ, ან დავსვრიო. იმიტომაც არის, რომ აქაურობა გომურს დაემსგავსა. სუფრა რომ გვექნება გადაფარებული, ასეა თუ ისე, დაიმახსოვრებენ: გარეცხვა სჭირდება სუფრას.

— ვინ დაიმახსოვრებს? — გამომწვევად იყვირა პლეტნიოვმა.

— მე დავიმახსოვრებ, შენც! კოროლმაც დაიმახსოვროს!

— თქვენი გემოვნების შესახებ ვერაფერს ვიტყვი, ჩემი

ეროვნული ბიბლიოთეკა



...უცებ, თითქოს ვინმემ უბრძანათო, სიცილი და ხმაური შეწყდა...

აზრით კი სუფრაზე სადილობა უფრო სასიამოვნოა, — ვუთხარი მე. — თუ მუშამბას გიფარებენ მაგიდაზე, მაშასადამე ფიქრობენ, რომ შენ დასვრი, დააქცევ, და გასუფთავება დასჭირდებათ. თუ სუფრას გიფარებენ, მაშასადამე, პატივსა გცემენ. თქვენი ნებაა, კენჭი ვუყაროთ: აბა, ვინ არის მომხრე, რომ სუფრაზე ვისადილოთ? ოჰო, ვერც კი დაითვლი. ვინ არის მუშამბას მომხრე? პლეტნიოვი, რაზუმოვი... შენ, ვალოდინ? ეტყობა ყველა სუფრის მომხრეა, პლეტნიოვის და რაზუმოვის გარდა. ჟუკოვ, ახლა კი ჩამოხსენი ეგ სუფრა და ისევ ჩვეულებრივი მენიუ ჩამოჰკიდე.

...ამ შემთხვევის შემდეგ ბავშვები მთელ დღეს ხმაურობდნენ. რასაკვირველია, სუფრისა და მუშამბას არჩევანი კი არ აღელვებდათ: პირველი შემთხვევა იყო ამ საბავშვო სახლის ისტორიაში, რომ ვინმეს გაებედა და წინააღმდეგობა გაეწია კოროლისათვის. დღემდე მხოლოდ ის იყო ყველაფრის ბატონ-პატრონი; უფროსი და ყველაზე ღონიერი ბავშვებიც კი — ჟუკოვი, სტეკლოვი, პოდსოლნუშკინი მასთან შეჯახებას გაურბოდნენ. მას შემდეგ კი, რაც რაზმები ჩამოყალიბდა, კოროლის მფლობელობა შეიზღუდა და ახლა მხოლოდ მესამე რაზმის ჩარჩოებით შემოიფარგლა. კოროლი რაზმში, ცოტად თუ ბევრად, პლეტნიოვს და რაზუმოვს უწევდა ანგარიშს. დანარჩენებს მოურიდებლად უყვიროდა და აჩუმებდა. ბავშვები პატივსა სცემდნენ. ზოგჯერ, გახურებული თამაშის დროს, გულწრფელად ავიწყდებოდათ, რომ მე უფროსი, ხელმძღვანელი ვიყავი, და აზარტში შესულნი, ბურთს ხელიდან მტაცებდნენ. კოროლს კი წუთითაც არ ივიწყებდნენ. ზოგჯერ ვალოდინი, თავდავიწყებულ ბრძოლაში, ბურთის ხელში ჩასაგდებად თავს არ იზოგავდა, მაგრამ საკმარისი იყო კოროლის გამოწვდილი ხელები დაენახა, რომ მყისვე გაეშვა ბურთი. ყველა დუმდა, როდესაც კოროლი გუნებაზე არ იყო, მაგრამ მაშინვე გამხიარულდებოდნენ თუკი „მისი ბრწყინვალება" კარგ ხასიათზე დადგებოდა.

...მე მაინც მომწონდა კოროლი. ჯერ ერთი იმიტომ, რომ გულგრილი არ იყო. ყველაფერი იზიდავდა, ჩვენი სახლის ყოველი საქმე უშუალოდ ეხებოდა და ნამდვილად იპოვიდი მასში გულთბილ და დაინტერესებულ მონაწილეს. ამასთანავე მეტად განვითარებული ჰქონდა იუმორი, რასაც მე ძალიან ვაფასებ. კარგად შენიშნავდა ხოლმე სასაცილოს და სხვისი ხუმრობა გააცინებდა — ოღონდ ეს მის საწინააღმდეგოდ არ უნდა ყოფილიყო მიმართული.

...კოროლი ჟუკოვს დაძაბულად, თითქმის ეჭვით უყურებდა. „საბავშვო სათამაშოები" უწოდა პირველი რაზმის მიერ გამოკიდებულ მენიუს.

რასაკვირველია, ჟუკოვს შეეძლო, რომელი სუფრაც უნდოდა, ის გამოეკიდა — ყველა საკმარისად ჭუჭყიანი იყო — მაგრამ სუფრა მაინცა და მაინც კოროლიოვის მაგიდიდან აიღო. თუმცა, რასაკვირველია, როგორც თვითონ, ისე მისი რაზმის წევრებმა კარგად იცოდნენ, რომ ეს თავდასხმას ნიშნავდა და თავდაცვაც სასტიკი იქნებოდა.

საღამომდე კოროლი თვალით არ მინახავს. არც საძინებელ ოთახში იყო, არც კლუბში, არც ეზოში და არც პარკში. მაგრამ ეჭვი არ შემპარვია, რომ სალაპარაკოდ მოვიდოდა. ჩვენ უკვე კარგი მეგობრული განწყობილება დავამყარეთ ერთმანეთთან. ტყუილად როდი გაგვიხერხია მსხვილი მორი და ჯიუტად გვითვალთვალებია ერთმანეთისათვის, რომელი ჩვენგანი უფრო გამძლე და ყოჩაღი იყო. ტყუილად არ გვიმგზავრია ერთად ნახევრად ბნელი ვაგონით ჩემი მეუღლისა და ბავშვების შესახვედრად. კოროლი იყო, მათი ჩამოსვლის დეპეშა რომ მომიტანა, მომეხმარა კოსტიკას და ლენას ჩამოყ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვანაში. კოროლი პირველი იყო საბავშვო სახლის ბავშვთა შორის, რომელსაც ჩემი შვილები გაეცვნენ და დაუმეგობრდნენ.

რაღაცას ვანგარიშობდი, კარებზე რომ დააკაკუნეს.

— შემოდით, — გამოვეხმაურე.

შემოვიდა კოროლი და მაგიდასთან გაჩერდა.

— დაჯექი, — მივმართე მე.

— დაჯდომა საჭირო არ არის,—მკვახედ მიპასუხა მან, მაგრამ სკამზე მაინც დაეშვა. — დაჯდომა საერთოდ არაა საჭირო...

— რაშია საქმე?

— გამოსამშვიდობებლად მოვედი!

— გამოსამშვიდობებლად? საით გასწიე?

— მივდივარ საბავშვო სახლიდან.

— საით?

— სამუდამოდ.

— მე გეკითხები: საით-მეთქი?

— ქვეყანა დიდია, ცოტა გზებია?!..

— მართალია, გზები ბევრია, მაგრამ მაინც რად გიფიქრია წასვლა?

— ვითომ არ იცით...

— არ ვიცი.

კოროლმა პირდაპირ შემომხედა. „სულს რატომ იწყმენდ? არა გრცხვენია?“ — ამოვიკითხე მის შემოხედვაში. ამოიოხრა და შეტრიალდა.

— რადგან არ იცით, გეტყვით: არ მინდა, მასხარად მიგდებდნენ. მომბეზრდა.

— ვინ გიგდებს მასხარად?

— რასა ბრძანებთ, სიმონ ათანასეს-ძევ, — გაცხარდა კოროლი. — დამცინით თუ? სუფრა რომ გამოკიდეს, განა ეს მასხარად აგდება არ იყო?

— თუ ეს მასხარად აგდებაა, მაშინ ყველანი უნდა გაიქცნენ. მაგალითად, სტეკლოვს შენ გასაქანს არ აძლევ, ზედმეტი სახელიც შეარქვი, მაგრამ არც გაქცეულა და არც სწყენია!

— მე იმ სუფრით სახალხოდ შემარცხვინეს.

— განა შენ კი სახალხოდ არ არცხვენ ყველას?

— მე არ ვარცხვენ, უბრალოდ ვიცინი.

— შენზედაც უბრალოდ გაიცინეს.

— როგორც გნებავთ, სიმონ ათანასეს-ძევ, შეიძლება სიმართლესაც ლაპარაკობთ, მაგრამ მაინც არ მინდა, რომ ყველა ვიგინდარამ თავისი უფლება გამოიჩინოს ჩემზე. უნდა წავიდე.

იგი მხრებჩამოშვებული იჯდა და გოროზად იყურებოდა ფანჯარაში. ორივენი ვდუმდით.

— იცი რა, დიმიტრი, — ჩუმად წამოვილაპარაკე. — შენ იცი, რომ ძალით მე არავის ვაკავებ. არც შენ დაგაკავებ. მაგრამ ერთს კი გეტყვი: მეგობრები ასე არ იქცევიან.

მან სწრაფად შემომხედა და ისევ მომარიდა თვალი.

— მეგობრები ასე არ იქცევიან. შენ კარგად იცი, რა იყო აქ წინათ. ისიც იცი, თუ რა ძნელი მისაღწევია, რომ ბავშვებმა ადამიანურად იცხოვრონ და ნამდვილი მოქალაქეები გამოვიდნენ, რომ ჩვენი ცუდი სახლი, რომელზედაც ყველა თითით აჩვენებს, ყველაზე კარგი გახდეს. იცი, რომ თუ არა შენ, სტეკლოვი და ეუკოვი, ასჯერ უფრო გამოძნელდებოდა მუშაობა. თქვენ გამიგეთ, მომეხმარეთ და გვერდში ამომიდექით, როგორც მეგობრები, ამხანაგები. განა თქვენ არ იცით, რომ ჩვენ, ყველა აღმზრდელები, ამას ვხედავთ და ვაფასებთ. და ახლა შუა გზაზე კი არა, არამედ გზის დასაწყისში, როდესაც ყველა სიძნელე ჯერ კიდევ წინა გვაქვს, შენ მეუბნები: „მივდივარო“. წადი, არ დაგაკავებ. მეგობრებს არ აკავებენ, არც ემუდარებიან, ისინი თვითონ მოდიან და რჩებიან.

კოროლი ნიდაყვებით მაგიდას დაყრდნობოდა, ნიკაპი ხელისგულზე დაებჯინა და თვალებში მომჩერებოდა...

იგი დუმდა. ავდექი და ფანჯარასთან მივედი...

— სიმონ ათანასეს-ძევ, ღამემშვიდობისათ!

— ღამემშვიდობისა, დიმიტრი.

იგი ადგა და გაემართა, ერთ წამს კართან შეჩერდა... და გავიდა.

საით წავიდა? პირდაპირ სადგურზე? თუ პარკში, ან დასაძინებელ ოთახში. ნუთუ წავა? მე მეგონა, რომ იმ განცდებმა, რომელიც ერთად გადავიტანეთ, იგი ჩვენ სახლს მიაჯაჭვა, როგორც ყველა და შეიძლება სხვაზე უფრო მეტადაც.

შუაღამისას ავდექი და დასაძინებელ ოთახისაკენ გავემართე. კორიდორში პეტია მორიგეობდა.

— ეს მე ვარ, — მომმართა პეტიამ, მაგრამ მე იმისათვის არ მეცალა. ბავშვები რომ არ გამეღვიძებია, სუნთქვაშეკრულმა გავიარე მესამე რაზმის ოთახი და მაშინვე დავინახე, რომ კოროლის საწოლი ცარიელი იყო.

თვალებს არ დავუჯერე და ახლოს მივედი.

— არა, არ შევმცდარვარ, არავინ იყო.



წუნარად გამოვბრუნდი უკან; პეტკას ღიმილისათვის, რომლითაც ჩვეულებრივად მესალმებოდა, არ მიპასუხნია. კაბინეტში შევედი და დავწექი, თუმც მტკიცედ ვიცოდი — არ დამეძინებოდა.

თარგმნა თამარ მთვარელიშვილმა

(დასასრული შემდეგ ნომერში)

ეროვნული ბიბლიოთეკა

სერგეი მიხალკოვი

ნახ. რ. ცუცქირიძისა

ძია მიხო მილიციელი

ძია მიხო ხომ გახსოვთ? —
ცოცხლობს, ისევ აქ არი,
მეზღვაური ყოფილი,
ამხანაგი მაგარი.
გახსოვთ, გახსოვთ ვაჟკაცი
ჩუმი და არხეინი?
ცისფერ სახლში ცხოვრობდა,
მეტსახელად ყეინი.
ალბათ, გინდათ გაიგოთ
მისი ბედი შემდეგი:
ისევ ჩვენში დაბრუნდა
გუშინ ფლოტის ზემდეგი.
დადის მიხო ქუჩებში,
არის ერთ დიდ ამბავში;
მხრებზე კვლავ სამხრეებით,
წელზე დიდი დამბაჩით.
მკერდზე ბრწყინავს ორდენი,
თითქოს მთების კალთაზე;
საბჭოეთის გერბი აქვს
მიხოს ქამრის ბალთაზე.
მოდის მიხო ქუჩაში
და გზად გამვლელ პიონერს
უკვირს: „შეხეთ, შეხედეთ
მიხოს მილიციონერს!“
ძია მიხოს გამვლელნი
ტკბილი სიტყვით ამკობენ,
მიდის, — თვალს აყოლებენ,
სულ ღიმილით ამბობენ:

„მილიციის რიგებში
ეს გვყავს ჩვენდა ბედათო,
ქუჩაში რომ გუშაგობს
კილომეტრზე ვხედავთო“.

* * *

შუქნიშანი გაფუჭდა
მთელი ქუჩა ივსება.
ყვითელი რომ აინთო,
მწვანე აღარ ინთება.
დკას ათასი მანქანა,
დგას. საწვავით იცლება, —
მწვანე შუქი არა ჩანს,
ავტო ვერ დაიძრება.
შფოთავს ქუჩის მორიგე.
გზის წესრიგის დამცველი
შფოთავს მინის კარავში, —
ვერ უნახავს საშველი.
ძია მიხოს ეძახის:
„ჰა, ჩავვარდი ჭირშიო,
მეგობარო, მიშველე.
იქნებ რჩევა მირჩიო“.
მიხომ ხელით ჩამოხსნა,
განა ბოძზე ავარდა!
შუქნიშანი გასინჯა,
სადღაც რაღაც გამართა,
უცებ შუქიც აინთო
თითქოს ელვა-მეხითა...
მანქანები დაიძრნენ,
გაჰქრნენ კისრიტეხითა.



იმღერიან ბავშვები —
მიხოს შერჩეს ჯანიო,
მას დღეიდან ვუწოდოთ —
„მიხო-შუქნიშანიო“.

* * *

ამ სადგურის ბაქანზე
ნეტავ საქმე რაშია?!
ბავშვმა დედა დაჰკარგა,
სტირის, ერთ ამბავშია.
მილიციას უხმობენ
ძახილით და ქაქანით.
მილიციაც მოვიდა, —
ძია მიხო აქ არის.
ძია მიხო მიიჭრა,
ბავშვი მაღლა ასწია:
„გადიხედე მაღლიდან,
აბა, ჩემო პაწია!“
გადიხედა პაწიამ
ცრემლით, გულის ფანცქალით,
აგერ დედაც გამოჩნდა,
ისიც სტირის საწყალი.
დედა შვილთან მიიჭრა,
დედა გულით გალაღდა;
მიხო ამბობს; „კარგია,
ეს ოჯახი დალაგდა“.

* * *

წამოსული სკოლიდან
ბიჭი გზაზე მიჰქროდა,
ცელქი, შარის ამტეხი
ისევ შარზე ფიქრობდა.
მოდიოდნენ სკოლიდან
მშვიდნი, როგორც ფრთოსნები,
გოგონები ნორჩები,
ყველა ფრიადოსნები.
დახვდა გზაზე გოგონებს
ბიჭი გულგაღეღილი,
ხალათამოჩაჩული,
ქამარგადაგრეხილი,
დაეჯახა გოგონებს,
უშნოდ გადიხარხარა.
თითო-თითოდ უბიძგა
და ტალახში ჩაჰყარა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამას კაცი იკადრებს
წესიერი, მამაცი?!
აი, როგორ მოიქცა
აბეზარი, ზარმაცი.
მერე უცებ მოჰკურცხლა —
ტრამვაისთან აღმოჩნდა,
შემოახტა ტრამვაის,
საფეხურზე ჩამოჯდა.
მაგრამ მაშინ ქუჩაზე
ძია მიხო გამოჩნდა.
ტრამვაისკენ გადადგა
სამი დიდი ნაბიჯი,
ბიჭი ვაგონს ჩამოხსნა;
— „რა კაცი ხარ, რა ბიჭი!“

რისხვად ისმის მისი ხმა:
„რა გვარი ხარ? ვისი ხარ?
ახლა წადი გადაეც
ქუჩის ამკლებ სხვა ბიჭებს, —
ვერვინ ვერ გაექცევა
ძია მიხოს ნაბიჯებს“.

* * *

გაყინულა მდინარე,
თითქოს თეთრი ქვებია;
ყინულზე ზის მოხუცი —
სარეცხს რეცხავს ბებია.
უცებ გატყდა ყინული
და დაიძრა მდინარე,
ყინულს მიაქვს ბებია —

ჰა, მშველელი ვინ არი?
უხმობს მშველელს ბებია: —
„ჰა, იცხონეთ სულიო,
მოდით, გადაგვარჩინეთ
მე და თეთრეულიო“.
ძია მიხო ხიდზე დგას,
იცქირება შორიდან:
აგერ ხიდთან ყინულით
ბებრუხანა მოვიდა...
უცებ ხიდი მაღალი
სულ გაივსო ხალხითა:
ძია მიხო მოაჯირს
გადეყუდა მაღლიდან.
დასწვდა ხელით მდინარეს
და ბებიას ჩასჭიდა;
ის კი ხელს ჰპვეკს სარეცხსაც
ერთის შრომა-გარჯითა.
ხიდზე ხალხი ხარხარებს:
„სარეცხს ხელი უშვიო“,
ის კი ამბობს:„ — სარეცხიც —
გენაცვალე სულშიო“.
საქმე მორჩა. წავიდა
ხალხი ყოველ მხარესა...
ძია მიხომ უშველა
ბებიას და სარეცხსაც.

* * *

სახლი ახალთახალი
დიდ მოედანს შვენოდა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცამდე აზიდულიყო
ცათამბჯენი შენობა.
ცათამბჯენთან გუშაგად
იდგა მილიციელი,
ხალხს ეხატა სახეზე
გაოცება ძლიერი.
„ძია მიხო, საიდან!
რათა დგახარ აქაო?
შენი ძველი ადგილი
ხომ არ დაგეკარგაო?“
მიხო ამბობს: — „ვარგივარ
მილიციის მუშაკად,
ცათამწვდენი დამნიშნეს
ცათამწვდენის გუშაგად“.

* * *

სასრიალო ადგილზე
დგანან მოციგურენი;
ყოველ კუთხით მოსულან
ციგაობის მსურველნი.
უცებ მისცა ნიშანი
მათ მაშხალის ჯახანმა,
ხალხი ჰყვირის: „გაასწრო
ყველას ერთმა მაღალმა“.
მიჰქრის, თითქოს მწერია,
გულზე „9“ აწერია.
ერთი ამბობს, — შეხედეთ
ეს „სპარტაკის“ წევრია.
ვინ მიასწრო ფინიშთან,
ვინ აღმოჩნდა ძლიერი?

ძია მიხო, მაღალი,
მიხო-მილიციელი.
მიხოს ჯილდო მოართვეს,
მიხომ ჯილდო ასწია...
მიხო მთელ მილიციის
საამაყო კაცია.

* * *

ახლა საგუშაგოზე
მიხოს მიეჩქარება,
წუთით დაგვიანებაც
მიხოს სულ ეჯავრება.
მიხო ეძებს ქუჩაში,
ეძებს ნაცნობ მანქანას,
გაჰყვეს საგუშაგომდე
ნაცნობ შოფერს, ამხანაგს.
ერთი მძღოლი ეძახის:
„თანახმა ვარ სავსებით,
მაგრამ ამ ჩემს „მოსკვიჩში“
შენ ხომ ვერ მოთავსდები?!
დამიცადე, ახლავე
მოგატარებ ამ ქალაქს,
წავალ, ახლავ მოვიყვან
სამტონიან მანქანას“.

* * *

ერთხელ მიხოს გარშემო
შემოერტყნენ ბავშვები;
„სდექ! ახლავე შეჩერდი,
სდექ! არ არის საშვები!“
— „ძია მიხო, უფროსო,
ჩვენს შორის რომ დარჩესო,
თქვენთან გამოსარკვევი
საკითხი გვაქვს ბავშვებსო.
გემიდან რომ დაბრუნდი
მეზღვაური ნამდვილი,
მილიციის გარეშე
სხვა ვერ ნახე ადგილი?!

ძია მიხო იცინის,
თითქოს ზეცა ელავსო:
„ყმაწვილებო, ახლავე
გიპასუხებთ ყველასო.
ჩემი შრომა, პირიქით,
არის მეტად საქები,
მილიცია საქმეა
დიდად პასუხსაგები.
ყველას გვერდით ვუდგავართ,
თუ ჩავარდა ჭირშია,
ცუდი საქმის ჩამდენს კი
მილიციის შიში აქვს.
სამწუხარო ეს არის,
ეს მინახავს ხალხში მე, —
ცელქ ბავშვს ხშირად მშობელი
მილიციით აშინებს.
მეც ხომ მილიცია ვარ,
მის რიგებში ვითვლები.
ასეთი რამ რომ მესმის,
სირცხვილისგან ვწითლდები“.
დიდხანს, დიდხანს ბავშვები
საუბრობდნენ ძიასთან,
ჩვენი დედა სამშობლოს
წითელ მილიციასთან.
მერე ერთხმად დასძახეს:
„შეგრჩეს, შეგრჩეს ჯანიო,
კარგად იყოს, ჯანმრთელად
მიხო-შუქნიშანიო“.

თარგმნა ირაკლი აბაშიძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა

პიონერული ახალი ამბები

პიონერული ტრაქტორი

ხარკოვის ქუჩაბანდებსა და ეზოებში სულ უფრო ხშირად ფუსფუსებდნენ პატარა გოგო-ბიჭები, რომელთაც ყელზე ალისფერი ყელსახვევი ეკეთათ, ისინი გულმოდგინედ კითხულობდნენ: ხომ არ არის სადმე რკინის ან ფოლადის საგნები, რომლებიც გადაგდებულია და არავის სჭირდებაო. იქნებ თუჯის ქვაბული აგდია სანაგვე ყუთში? თუ აღმოაჩენდნენ ასეთს, სასწრაფოდ ჩაიწერდნენ და ახლა სხვაგან გაიკითხავდნენ. პატარები არც გარეუბნის მიყრუებულ ადგილებს ერიდებოდნენ.

ეს მხოლოდ უბრალო ცნობისმოყვარეობა როდი იყო: ესენი ხარკოვის მე-5 საშუალო სკოლის პიონერები იყვნენ. მთელი რაზმეული გამოეხმაურა მოწოდებას ჯართის შეგროვების შესახებ. მათ პირობა დადეს, რომ 45 ტონა ჯართს შეაგროვებდნენ და აი, წინასწარ გაგზავნილ „მზვერავებს" განუწყვეტლივ მოჰქონდათ ცნობები, თუ სად შეიძლებოდა ლითონის შოვნა.

მითითებულ ადგილზე სასწრაფოდ გაეშურნენ უფროსი ბიჭები. დაიტვირთა ხელურმები, აივსო ტომრები და მალე ჯართის მთა დადგა. ეზოებიც გასუფთავდა და პირობაც შესრულდა.

შეგროვებული ლითონისაგან ხარკოვის სატრაქტორო ქარხანამ გააკეთა ტრაქტორი, რომელზეც გამრჯე პიონერებმა სიამაყით ამოიკითხეს წარწერა: „გაკეთებულია ჯართისაგან, რომელიც შეაგროვეს ხარკოვის მეხუთე სკოლის პიონერებმა".

გამრჯე პიონერები

ესტონეთში პრანგლის ჭაობიდან პატარა ნაკადული გადის. კამბიანის შვიდწლიანი სკოლის მახლობლად ნაკადული მდინარედ იქცევა. სკოლის პიონერებმა გადაწყვიტეს ამ მდინარეზე ელსადგური აეგოთ. მათ ამაში ხელს უწყობდა ფიზიკის კარგი ცოდნა. პატარა მშენებლები მუშაობას შეუდგნენ. სწრაფი მდინარება ხშირად ხელს უშლიდა მათ, მაგრამ საქმეს შეუპოვრად განაგრძობდნენ. საგაზაფხულო არდადეგებისათვის ელსადგური კიდეც აამუშავეს. ბიჭებმა სკოლაში ელექტროგაყვანილობა მოაწყეს და სკოლა, რომელიც აქამდე უბრალო ლამპით ნათდებოდა, ახლა ელნათურებით გაშუქდა.

ელსადგურის მეშვეობით პიონერებს ექნებათ თავისი რადიოკვანძი, კარგად აღჭურვილი ფიზიკის კაბინეტი და სხვ.

ცოცხალ კუთხეში

ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ლ. ვ. ბოიცოვს ერთ დღეს ესტუმრენ მოსკოვის 114-ე სკლის მოსწავლეები, ნორჩ მიჩურინელთა წრის წევრები. ბავშვებმა პროფესორს თხოვეს რამდენიმე ჭაობის წავი. პროფესორმა დაკმაყოფილა მათი თხოვნა და თან სათანადო რჩევა-დარიგებაც მისცა ნორჩ ბიოლოგებს.

ამ დღიდან დასახლდნენ სკოლის მეორე სართულზე პატარა ცხოველები, რომლებიც მიჩვეულნი არიან ცხოვრებას მხოლოდ სამხრეთ ამერიკის ჭაობებში. მათ მომვლელებად წრემ დანიშნა ლიონია ფომინი, ტანია ორლოვა, ირა და ნატაშა ეგოროვები. მორიგეები ზუსტად იწერენ ჟურნალში დაკვირვებებს, თვალს ადევნებენ წავების ზრდას.

ამჟამად მათ უკვე თოთხმეტი ჭაობის წავი ჰყავთ, სულ მალე კი მეტი ეყოლებათ.

საყვარელი სტუმრები

თბილისის თოჯინების სახელმწიფო თეატრი დიდი სიყვარულით სარგებლობს ნორჩ მაყურებლებს შორის. პატარები აღტაცებით შესცქერიან სცენაზე გამოსულ თოჯინებს, განიცდიან მათ ყოველ მოძრაობას, სიტყვას; იცინიან, ერთობიან მათთან ერთად და ხშირად ისიც კი ავიწყდებათ, რომ სცენაზე ცოცხალი ადამიანები როდი მოქმედებენ. ამას ისინი უნდა უმადლოდნენ თეატრის უნარიან, ნიჭიერ კოლექტივს.

ამას წინათ თბილისის 30-ე საშუალო სკოლის პიონერთა რაზმეულმა შეხვედრა მოუწყო თოჯინების „სულის ჩამდგმელებს" — საყვარელ მსახიობებს. მოსწავლეები ტაშის გრიალით შეხვდნენ დარბაზში შემოსულ სტუმრებს. ნორჩი მაყურებლის შთაბეჭდილებანი და სურვილები გამოთქვეს მოსწავლეებმა: გიორგი ავალიშვილმა, ლალი გოქაძემ, თ. შარუხიამ, ს. თოდაძემ და სხვ. ნახული სპექტაკლების შესახებ ილაპარაკა მესამეკლასელმა პიონერმა დავით დვალმა.

პატარებმა საკუთარი თვითშემოქმედებაც უჩვენეს სტუმრებს. თვალწარმტაცი იყო მესამეკლასელი პიონერების მონტაჟი „გაზაფხული".

ნორჩ მაყურებლებს სიტყვით მიმართეს თეატრის მთავარმა რეჟისორმა გ. მიქელაძემ, მსახიობებმა ე. ცქიტიშვილმა და ვ. ნიკოლაიშვილმა. სტუმრებმა მოსწავლეებს მადლობა გადაუხადეს გულთბილი მიღებისათვის და სწავლაში წარმატება უსურვეს.

შეხვედრას მიეძღვნა სპეციალური კედლის გაზეთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი მზი

არტეკი! მსოფლიოს თითქმის ყველა ბავშვმა იცის, რომ შავი ზღვის ეს შესანიშნავი მზიური სანაპირო საბჭოთა ბავშვებს ეკუთვნის.

გამოჩენილი ფრანგი მწერალი — კომუნისტი ანრი ბარბიუსი არტეკის შესახებ წერდა: „ეს ნამდვილი სამოთხეა, მაგრამ სამოთხე მიწიერი, რეალური“.

მოლოტოვის სახელობის, შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საკავშირო პიონერული ბანაკი არტეკი მიმდინარე წლის ივნისში თავისი არსებობის 30-წლისთავს აღნიშნავს.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ თავიდანვე განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია იმას, რომ ყირიმის ბუნების სამკურნალო საშუალებები ფართოდ ყოფილიყო გამოყენებული ბავშვთა დასვენებისა და ჯანმრთელობის კერად. რუსეთის სოციალისტური რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატმა ოცდაათი წლის წინ არტეკში გახსნა სანატორული ტიპის პიონერული ბანაკი.

1925 წლის 16 ივნისს არტეკში ანძაზე პირველად აღიმართა წითელი ალამი. ამ დღიდან დაიწყო არტეკის არსებობის ისტორია.

მთელ საბჭოთა ქვეყანასთან ერთად წლითიწლობით იზრდებოდა და ლამაზდებოდა არტეკი. ჩვენი სამშობლოს ყოველი კუთხიდან ყოველ წელს ჩამოდიოდნენ არტეკში ნორჩი პიონერები დასასვენებლად და ენერგიის მოსაკრებად. აქ ისვენებდნენ: თემურ ფრუნზე—გამოჩენილი მხედართმთავრის მიხეილ ფრუნზეს ვაჟი, რომელიც დიდი სამამულო ომის დროს საბჭოთა კავშირის გმირი გახდა, ვალოდია დუბინინი—პატარა გმირი პარტიზანი, ტაჯიკი გოგონა — ორდენოსანი მამლაკატ ნახტანგოვა, ორდენოსანი ბერსაბი ხამგაკოვი, რომელმაც საუკეთესო ჯიშის ცხენი გამოზარდა, და სხვა პიონერები.

1934 წელი არტეკისათვის ღირსშესანიშნავი თარიღია. ამ წელს არტეკში პიონერებთან სტუმრად ამხანაგი მოლოტოვი ჩამოვიდა. ბავშვებმა ძვირფასი სტუმარი დიდი ზეიმით მიიღეს და არტეკის საპატიო წევრად აირჩიეს.

სამამულო ომის პერიოდში, ფაშისტ დამპყრობლების მიერ ყირიმის დროებით ოკუპაციის დროს, არტეკმა დიდი ზიანი განიცადა. ფაშისტების მიერ დანგრეულ და განადგურებულ იქნა მეორე ბანაკის შესანიშნავი სასახლე, აჩეხილ იქნა ლამაზი ბაღი და სხვ., მაგრამ როგორც კი საბჭოთა ჯარებმა ყირიმი გაათავისუფლეს, კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერი არტეკი

კომიტეტმა და მინისტრთა საბჭომ დაავალა კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტს არტეკის სასწრაფოდ აღდგენა. აღდგენითი სამუშაოების ჩატარებისა და პარკის გაშენების დაწყებიდან სამი თვის შემდეგ, 1944 წლის 6 აგვისტოს, არტეკის ბანაკებში კვლავ აფრიალდნენ ანძებზე წითელი ალმები. აქ დასასვენებლად 500 მოსწავლე და პიონერი ჩამოვიდა.

გაიზარდა და კიდევ უფრო ლამაზი გახდა მას შემდეგ არტეკი. აიუ-დაგიდან გურზუფამდე 7 კილომეტრის მანძილზეა გადაჭიმული მისი ტერიტორია შესანიშნავი პარკებით, სასახლეებით და ლამაზი ნაგებობებით. მთელი წლის განმავლობაში ისვენებენ აქ ბავშვები. უკანასკნელი წლების მანძილზე არტეკში 30 ათასამდე პიონერმა და მოსწავლემ დაისვენა.

მრავალფეროვანი და საინტერესო დასვენება აქვთ ნორჩ პიონერებს არტეკში. ისინი ბედნიერად და მხიარულად გრძნობენ აქ თავს; ბანაობენ ზღვაში, მოგზაურობენ ყირიმის ღირსშესანიშნავი ადგილების დასათვალიერებლად, აგროვებენ სხვადასხვა მცენარეებსა და მწერებს, აწყობენ თვითშემოქმედების საღამოებს და ყველასათვის მიმზიდველ და საინტერესო კოცონებს.

ყოველი პიონერისათვის, რომელიც კი ყოფილა არტეკში, დაუვიწყარია არტეკის კოცონი. რამდენი გრძნობა, ენერგია, ინიციატივა და გამომგონებლობაა ჩაქსოვილი თითოეული კოცონის მოწყობაში. ხშირად კოცონზე სტუმრებსაც პატიჟობენ. ესენი არიან სხვადასხვა ბანაკის პიონერები, სანატორიუმების დამსვენებლები, ჩვენი ქვეყნის გამოჩენილი ადამიანები: მწერლები, არტისტები, მეცნიერები, ოფიცრები, გენერლები. არტეკის კოცონებზე სხვადასხვა დროს მონაწილეობა მიიღეს საბჭოთა კავშირის სამგზის გმირმა ა. პოკრიშკინმა, მწერლებმა: პ. პავლენკომ და ლ. კასილმა, სოციალისტური შრომის გმირმა ა. კოტინმა, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტმა კნიპერ-ჩეხოვამ და სხვებმა.

არტეკში ნორჩი პიონერები ერთმანეთის დაუვიწყარი მეგობრები ხდებიან. აქ მეგობრობის წმიდა გრძნობა ერთმანეთთან აკავშირებს ალტაისა და ლატვიის პიონერებს, ციმბირიდან, თურქმენეთიდან, რუსეთიდან ჩამოსულ მოწაფეებს. არტეკში შავი ზღვისპირის ამ შესანიშნავ ადგილას საბჭოთა პიონერებთან ერთად ისვენებენ ჩინეთის, ბულგარეთის, პოლონეთის, რუმინეთისა და სხვა დემოკრატიული ქვეყნის პიონერები. აქ შეგხვდებათ ფრანგი გოგონა, ინდოელი ბიჭუნა და სხვა ქვეყნის ნორჩი წარმომადგენლები.

ვინც კი თუნდაც ერთხელ ყოფილა არტეკში, მისთვის დაუვიწყარია შავი ზღვის პირას გაშენებული ეს მშვენიერი და წარმტაცი პიონერული ბანაკი.

გიორგი ლომინაძე

6904

ეროვნული ბიბლიოთეკა ბილისი

ეროვნული

ნახ. გ. ფოფხაძისა

ვერ გამიგია, რა ადამიანები ხართ!

*

ჟიგმონდ მორიცი (1879—1942) გამოჩენილი უნგრელი დემოკრატი მწერალია. მშრომელი ხალხის წრიდან გამოსული მორიცი თავის რომანებსა და ნოველებში დამაჯერებლად და მაღალმხატვრულად აგვიწერს უნგრელი ხალხის ჩაგვრას კაპიტალისტებისა და მემამულეებისაგან, უნგრელი ხალხის ბრძოლას თავისუფლებისა და უკეთესი მერმისისათვის.

ჟ. მორიცის კალამს ეკუთვნის რომანები „ოქრო ტალახში“, „გათენებამდე“, „დიდებულთა ლხინი“, დაუმთავრებელი ტრილოგია „შანდოფ როჟე“ და მრავალი ნოველა.

განთავისუფლებული უნგრელი ხალხი დღეს დიდად აფასებს ჟიგმონდ მორიცის შემოქმედებას.

*

ვალიკა და პანიკა ხელიხელჩაკიდებული მიყვებოდნენ ქუჩას. ისინი სკოლიდან ბრუნდებოდნენ. ჩვეულებრივ, კუთხესთან გოგონები ერთმანეთს ცილდებოდნენ: პანიკა შესახვევს აუყვებოდა, ვალიკა კი ფართო ქუჩაზე განაგრძობდა გზას.

მაგრამ ამ ჯერად ვალიკამ ხელი არ გაუშვა პანიკას და თან გაიყოლა.

— წამოდი, წამოდი! შენ ჩვენთან უნდა ისადილო.

— არა...

— მასწავლებელმა ხომ თქვა! ჰოდა, ისადილებ.

— უი, აჰ, არა...

ვალიკა ყურს არ უგდებდა პანიკას და თან მიათრევდა. იგი მეგობარზე უფრო ჩასუქებული, ღონიერი და თამამი იყო. პანიკამ იცოდა, რომ მასწავლებელმა ვალიკას დაავალა თავის მამიკოსათვის ეთხოვა: ერთ-ერთ ღარიბ მოსწავლეს ყოველდღე სადილით გამასპინძლებოდა. მასწავლებლისათვის სულ ერთი იყო ვის გაუმასპინძლდებოდნენ და, რადგან გოგონები უკვე მეგობრობდნენ, დაე პანიკა ყოფილიყო. პანიკას არ უნდოდა ვალიკასთან სადილად წასვლა. რატომ არ უნდოდა, ეს თვითონაც არ იცოდა, მაგრამ არ უნდოდა კი.

ვალიკამ კი იცოდა, რომ პანიკა დღეს მას ეკუთვნოდა და არაფრის გულისათვის არ სურდა მეგობრის გაშვება. მან მაგრად ჩაჰკიდა ხელი პანიკას და თან გაიყოლა, უფრო სწორად—წაათრია. ვალიკა ძალიან ამაყობდა იმით, რომ მეგობარი შინ მიჰყავდა, და ერთი სული ჰქონდა, რკინის ჭიშკარს იქით აღმოჩენილიყო, რადგან იცოდა, რომ მაშინ უკვე პანიკა ვეღარსად გაექცეოდა.

— დედიკო, დედიკო! — ყვირილით მივარდა იგი დედას. — ახლა პანიკა აღდგომამდე ჩვენთან ისადილებს! მასწავლებელმა თქვა.

დედიკომ გაიცინა და შვილი გადაკოცნა. იგი ძალიან ბედნიერი იყო, რომ ვალიკა ასე საყვარელი, ლამაზი და ჯანმრთელი ჰყავდა, თან ასე მომხიბვლელად ტიტინებდა.

— მასწავლებელმა თქვა? ოჰ, ეს მასწავლებელი!

მან კვლავ დაჰკოცნა შვილი და მხოლოდ ახლა შეხედა გოგონას, რომელიც ვალიკამ თან მოიყვანა.

— მართლა ასეა, გოგონავ?

მაგრამ პანიკა ჩუმად იდგა, თავი დაეხარა და კაბის კალთას ისრესდა.

ვალიკა კი ტიტინს განაგრძობდა.

— იმიტომ, რომ იგი ღარიბის ბავშვია. და ყველა ღარიბის ბავშვი ვინმესთან უნდა სადილობდეს, — მასწავლებელმა თქვა.

მან ზურგიდან აბგა მოიხსნა და წერილი მოძებნა, რომელსაც მასწავლებელი დედიკოს უგზავნიდა.

დედიკომ წერილი ჩამოართვა, წაიკითხა და თქვა:

— კარგი, გოგონა, დააწყე შენი ნივთები შემოსასვლელში, მერე საბაზანო ოთახში გადი და ხელები კარგად დაიბანე. შენც დაიბანე შენი ჭუჭყიანი თათები. — მან სიყვარულით მოუცაცუნა ხელი, კიდეც დაუკოცნა შვილს გათხვრილი ხელები.

შემდეგ პატარები საბაზანო ოთახში გაიყვანა, ონკანი მოუშვა. კრიალა მილიდან წყალი წამოვიდა. დედიკომ პატარა თასში დააგროვა წყალი. ძალიან ლამაზ, თეთრ სკამზე დადგა. ჯერ გულმოდგინედ დაბანა ვალიკას ხელები, შემდეგ დაუკოცნა ახლა უკვე ვარდისფერი თათები და პანიკას უთხრა:

— შენც დაიბანე ხელები, ოღონდ კარგად.

ამის შემდეგ დედიკო სასადილო ოთახში გავიდა და მოახლეს უთხრა მაგიდაზე კიდევ ერთი ხელი ჭურჭელი დაედგა.

— როჟე, წადით საბაზანოში, — დაუმატა მან, — იმ გოგოს ხელები კარგად დაბანეთ! მისი მაღალკეთილშობილება ვერ იტანს, როდესაც ბავშვები სუფრასთან ჭუჭყიანი ხელებით სხდებიან.

როჟე საბაზანოსკენ გაეშურა და კარგადაც მოიქცა: პანიკას ფიქრადაც არ მოსვლია ხელები თასში ჩაეწყო. როჟემ გოგონას ხელი წაავლო, გულმოდგინედ დაბანა ხელები, პირი, შემდეგ თმიდან სავარცხელი ამოიძრო და თავი დავარცხნა.

— აი ასე, — კმაყოფილებით თქვა მან.

ვალიკა და პანიკა სასადილო ოთახში დროზე შევიდნენ: სწორედ იმ წუთს გამოჩნდა მისი მაღალკეთილშობილება და მაშინვე იკითხა:

— ვინ არის ეს გოგო?

ვალიკა კისერზე ჩამოეკიდა თავის მამიკოს და უთხრა:

— პანიკამ აღდგომამდე ჩვენსა უნდა ისადილოს ყოველ დღე.

— ოჰო!

— მასწავლებელმა თქვა.

დედიკომ მოკლედ აუხსნა რაშიც იყო საქმე და წერილი აჩვენა.

— რა გქვია, გოგო? — დინჯად ჰკითხა მამიკომ.

— პანიკა! — წამოიყვირა ვალიკამ.

— მე შენ არ გეკითხები, — შენიშნა მამიკომ, — მითხარი თუ შეიძლება, რა გქვია?

— პანიკა, — მიუგო გოგონამ.

— ძალიან კარგი. მამაშენს რა ქვია?

— მამუკა, — თქვა პანიკამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არ მიყვარს, როდესაც სურთ გაიგონ, რით ირჩენს თავს ღატაკი.

— ეს შენ ეძახი ასე სხვები როგორ მიმართავენ?

— ოსტატო!

— მისი სხვა სახელი არ იცი? ვთქვათ, იანოშ ვარგა... მიხაილ კოვაჩი... მასაც ხომ რაღაცას ეძახიან? აბა, ჰა მაშ, როგორ?

— არ ვიცი.

— ეჰე, მამამ ესეც კი არ შეგა'სწავლა!.. შენ რაღა გქვია?—მოუბრუნდა იგი თავის ქალს.

— ვალიკა, — უპასუხა შვილმა.

— სწორეა, მე რაღა მქვია?

— მამიკო.

— ოო, შე სულელო, მაიმუნო! როგორ მომმართავენ სხვები?

— თქვენო მაღალკეთილშობილებავ!

— ო, ჰო, ჰო, შენ ისწავლე იმისგან... მართალი ვარ, როდესაც ვამბობ, სკოლები, სადაც სხვადასხვა წოდების ბავშვები სწავლობენ, არაფრად ვარგა. ასეთი პატარა მაიმუნები იქ მხოლოდ სულელდებიან. ახლა კი ვისადილოთ, მე მშია.

მაგიდას შემოესხდნენ, ვალიკამ თავისი მიჩენილი ადგილი დაიკავა. მოახლემ სკამზე ბალიში დაუდო პანიკას, გოგონა ზედ დასვა და გაიცინა.

მაგიდას თეთრი სუფრა ეფარა, ზედ თეთრი თეფშები ელაგა და შუაში თეთრი ლანგარი იდგა. ყველა თეფშს ოქროს ვარაყი ქონდა შემოვლებული. მხოლოდ პანიკას თეფშს არ ქონდა ვარაყი. მაგრამ იგი მაინც ლამაზი იყო.

დედამ წვნიანი გადმოუღო ვალიკას, მამას, თავისთვისაც დაისხა, ბოლოს პანიკას მიაწოდა.

— გიყვარს წვნიანი? — ჰკითხა მან პანიკას, მაგრამ გოგომ არა უპასუხა რა.

პირველი თავი სადილი რომ მოათავეს, მამიკო ვალიკას მიუბრუნდა.

— შენ მართლა არ იცი რა მქვია მე?

— დოქტორ ანტან ვადკერტი. — უპასუხა ვალიკამ.

— აი, ხედავ, ყველას აქვს თავისი სახელი, ყოველ ადამიანს. შენმა მეგობარმა კი ისიც არ იცის, რა ქვია მამამისს.

პანიკამ თავი ჩაღუნა.

წვნიანის შემდეგ ხორცი შემოიტანეს საწებლით. დედიკომ ხორცი წვრილად დაჭრა ჯერ ვალიკასთვის, შემდეგ პანიკასთვის და თქვა:

— ჩანგლით უნდა ჭამოთ.

პანიკამ დახედა ჩანგალს, კიდეც შეეცადა გამოეყენებინა იგი, მაგრამ ხორცს არაფრით არ უნდოდა ჩანგალზე დამაგრებულიყო!

— ჭამოს კოვზით, როგორცაა შეჩვეული. — თქვა მამიკომ. კოვზის საშუალებით პანიკამ ადვილად მოუღო ბოლო ხორცსაც და საწებელსაც. პურიც კი ჩაფშვნა თეფშში, მაგრამ ვალიკას სიცილი რომ შეესმა, გაწითლდა და თავი ჩაღუნა.

შემოიტანეს ლაფშა, მადის აღმძვრელი, თეთრი ლაფშა, მსუქანი ხაჭოთი. პანიკას ნება დართეს ეს საჭმელი კოვზით ეჭამა.

— მერე კი შენც მოგიხდება ისწავლო ჭამა. ხედავ, როგორ ლამაზად ჭამს ვალიკა.

როდესაც სუფრიდან წამოიშალნენ, მამიკომ თქვა:

— აი რა, გოგონა, ახლა სახლში წადი და მამას გადაეცი, ჩემთან მოვიდეს, მასთან მოსალაპარაკებელი მაქვს.

პანიკა იმ წამს გაიქცა თავის პალტოსაკენ, ჩაიცვა და წასასვლელად გაემზადა.

— მოითმინე, ხომ საჭიროა გამასპინძლებისათვის, როგორც წესია, მადლობა გადაიხადო, წასვლის დროსაც—ყველას უნდა გამოემშვიდობო... — მაგრამ პანიკა ხმას არ იღებდა.

— არაფერია, ისწავლის, — თქვა მამიკომ, — აღდგომამდე კიდევ დიდი დროა.

მამიკომ ყოველივე ეს ალერსიანი ხმით წარმოთქვა, გაიცინა კიდეც, ოდნავადაც კი არ გამწყრალა, მაგრამ პანიკამ ისევ ჩაღუნა თავი და კარებისაკენ გაეშურა.

ვალიკას გაცილების ნება არ მისცეს: ეშინოდათ არ გაციებულიყო.

— მამაშენს უთხარი დაუყოვნებლივ მოვიდეს ჩემთან. მინდა სამუშაო მივცე.

მამიკო დასასვენებლად მიწვა, ერთ საათს წათვლიმა და როდესაც გამოეღვიძა, პანიკას მამა, ღარიბი, ცუდად ჩაცმული დღიური მუშა უკვე პარმაღზე იდგა. მისი მაღალკეთილშობილების გამოსვლისთანავე მან ქუდი მოიხადა. მისი მაღალკეთილშობილება წარმოსადეგი, ბრგე მამაკაცი იყო, დღიური მუშა—პატარა, გამხდარი კაცი, გალეული სახით.

— თქვენი სახელი?

— იანოშ ტაკარო!

— კეთილი... თქვენი ქალი აღდგომამდე ყოველდღე ჩემთან ისადილებს, გასაგებია?

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღიურმა მუშამ უხმოდ დაუქნია თავი

— თუ იგი კარგად დაიჭერს თავს, მიიღებს ჩემი შკილის ნახმარ კაბებსა და ფეხსაცმელებს. მიიღებს ყველაფერს, რაც საჭიროა, ოღონდ კარგად მოიქცეს. რით ირჩენთ თავს?

— უმუშევარი გახლავართ.

— დიდი ხანია?

— რაც მკა გათავდა იმ დროიდან.

მისი მაღალკეთილშობილება უსიტყვოდ უმზერდა დღიურ მუშას, ისიც ჩუმად იყო, ქუდი ხელში ეჭირა და დუმდა.

— მერე რით ცხოვრობთ?

დღიურმა მუშამ მხრები აიჩეჩა და კვლავ უსიტყვოდ გაჩერდა.

— რამდენი შვილი გყავთ?

— ექვსი.

— ექვსი?.. ჰმ... როგორ გაბედეთ ასე დაწვრილშვილება თუ ლუკმაპურის შოვნის თავიც არა გაქვთ? თუმცა ეს სულერთია!.. აი, რა ჩემო მეგობარო. მე ვკისრულობ თქვენი შვილისადმი მზრუნველობას, აღდგომამდე იგი ყოველდღე ივლის ჩემ ქალთან ერთად. ამისათვის არაფერს გადაგახდევინებთ. გასაგებია? და რომ არ იფიქროთ, თითქოს, თქვენ ქალს მუქთად ვინახავ, ოჯახში რაიმე გააკეთეთ. ხედავთ შუშის საჩეხს? — და მან ეზოს სიღრმეში მდგარ ფარდულზე მიუთითა. — მიდით იქ, ცოტა შეშა დააპეთ და ბარიბარს ვიქნებით.

იგი გატრიალდა და სახლში შევიდა.

დღიური მუშაც მიბრუნდა, ქუდი დაიხურა, თოვლისაგან გაკვალული გზით ეზო გადასჭრა და ფარდულისაკენ გაეშურა. ნაჯახი მოძებნა და შეშის ჩეხვას შეუდგა. ორი საათი ჩეხა, შემდეგ კი წავიდა, — არავისთვის არაფერი უთქვამს. შებინდებისას მოახლე როქემ ბატონს შეატყობინა, დღიური მუშა წავიდაო.

— მერე რა! — თქვა მისმა მაღალკეთილშობილებამ — წავიდეს! მე კი მინდოდა მისთვის ჭიქა არაყი შემეთავაზნა.

მეორე დღეს გოგონა სკოლაში არ გამოცხადებულა, არც ვალიკასთან მოსულა სადილად.

რაკი პანიკა არ მოდიოდა, ვალიკა ტიროდა.

— არა უშავს რა, ხვალ მოვა!

მაგრამ პანიკა აღარ გამოჩენილა.

რამდენიმე დღის შემდეგ კი გოგონა მიავიწყდათ.

როგორღაც მისმა მაღალკეთილშობილებამ დღიურ მუშას ქალაქის რატუშის შენობის წინ მოჰკრა თვალი. იგი უმუშევართა შორის იდგა მოღუშული. მისმა მაღალკეთილშობილებამ იგი იხმო.

— თქვენ იანოშ ტაკარო ხართ?

— დიახ!

— სად არის თქვენი ქალი? რატომ არ მოდის ჩვენთან სადილად?

დღიურმა მუშამ არა უპასუხა რა, მხოლოდ დაქინებული გამოკითხვის შემდეგ ცივად და მკაცრად წარმოთქვა:

— არ მიყვარს, როდესაც სურთ გაიგონ, რით ირჩენს თავს ღატაკი.

მისმა მაღალკეთილშობილებამ დღიურ მუშას გაკვირვებით შეხედა და თქვა.

— ვერ გამიგია! ნუ თუ არ გეზრალებათ, თქვენი ქალი შიმშილობს, ულუკმაპუროდ ზის? ვერ გამიგია რა ადამიანები ხართ!

დღიურმა მუშამ არა უპასუხა რა, მიბრუნდა და წარბშეკვრით მიაჩერდა სივრცეს.

თარგმნა თინა სულიაშვილმა

მეგობრები

ცხენები ქარივით მიჰქროდნენ მოედანზე, ზღვა ხალხი თვალებს ვერ აშორებდა დაწინაურებულ ორ ბედაურს, რომლებსაც დიდი მანძილით უკან მოეტოვებინათ დანარჩენი მეტოქენი. ახლა უკვე ყველასათვის ცხადი იყო, რომ სწორედ ისინი — თეთრონი და წაბლისფერი — წყვეტდნენ მარულაში პირველობის ბედს.

ნორჩი მხედრები ზურგზე მიჰკროდნენ ატოტებულ ცხენებს, დროდადრო მკვირცხლად დაჰკივლებდნენ, რომ უფრო სწრაფად გაეწიათ წინ.

— აბა, ჰე, წაბლავ, მიდი!

— გასწი, თეთრონო! გასწი! — ყიოდნენ ბავშვები, რომლებიც მოედნის განაპირას ჭადარზე აცოცებულიყვნენ და ზევიდან დასცქეროდნენ მარულას.

ბედაურები ელვისქარულად უახლოვდებოდნენ ფინიშს, იწყებოდა უკანასკნელი მანძილის გარბენა, როცა თეთრმა ცხენმა იძალა და გაუსწრო წაბლას.

— მიდი, მიდი! — კვლავ გაისმა წამაქეზებელი შეძახილები.

და უცებ მოედანზე საოცარი რამ მოხდა: თეთრი ცხენი წინა მუხლებზე გადაყირავდა და მხედარიც ბურთივით გაისროლა წინ...

სუნთქვა შეეკრა ყველას. წაბლისფერი ბედაურის ნორჩი მხედარი კი უზანგზე შედგა და ისე მარჯვედ მოსწია აღვირი, რომ ცხენი ჯერ შეტოტდა, შემდეგ კი ისარივით დაესო შემთხვევის ადგილზე.

მხედარი სწრაფად გადმოხტა უნაგირიდან, მიიჭრა მეგობართან, ფეხზე წამოაყენა და თეთრონზე შეჯდომა უშველა.

გრიალებდა ტაში. ისინი კვლავ ერთად მიჰქროდნენ ფინიშისაკენ, სადაც გამარჯვებულს წითელი ალამი ელოდა.

ბორის შენგელია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ე. მაზანაშვილი

ნახ. შ. ცხადაძისა

მგღები

მოთხრობა

საზღვრისპირა სოფელი ვარდისუბანი მთაგორიან ადგილზე მდებარეობს. სოფელს გასცდებით თუ არა, ტყე იწყება. ისეთი უღრანი და გაუვალი ადგილებია რომ, თუ ადამიანი ნავალი არ არის, ადვილად დაიკარგება. ტყეს ორ ნაწილად ჰყოფს პატარა ღელე. ტყის გამოღმა ნაწილს, რომელიც სოფელს აკრავს, «თავთანიანის ტყეს» ეძახიან. მეორისათვის, რომელიც ღელედან იწყება, «ნასახლარი» შეურქმევიათ, რადგან ახლაც შეხვდებით იქ ძველ ნასოფლარ ადგილებს, ციხის ნანგრევებს, სოფლის გზებს... «ნასახლარს» იქით კი უღრან ეკლოვან ადგილებში გადის სახელმწიფო საზღვარი.

ადრე დილით გამოვიდნენ ანდრო და ოთარი სახლიდან. წკეპლის ცემით ერეკებოდნენ ჯორს და ისიც, თავჩაქინდრული, მორჩილად მისდევდა გზას. ბიჭებმა ტყისკენ აიღეს გეზი. მათმა ფეხის ხმამ დაარღვია სოფლის მყუდროება; აყეფდნენ ავი ძაღლები და ასე ყეფით გააცილეს ანდრო და ოთარი სოფლის ბოლომდე.

— ადრე მოგვიხდა გამოსვლა, ანდრო, ხედავ, მხოლოდ ჩვენ მივდივართ ამ გზაზე, — უთხრა ოთარმა ძმას.

— არა უშავს, ჩქარა ვიაროთ. მალე მზეც ამოვა, სამაგიეროდ, ადრე ავალთ, შეშასაც თავის დროზე დავამზადებთ და ბებია მართასაც გაუხარდება შინ დროზე რომ დავბრუნდებით, — უპასუხა ანდრომ და ჯორს შეუძახა: —გასწი მერცხალა, გასწი!...

მერცხალამ ყურები დააპარტყუნა, მერე კისერი გაიწვდინა და მისი სახელისათვის შეუფერებელი ხმა ამოუშვა.

თითქმის ორი საათი იარეს ბიჭებმა. მერე ერთი დიდი მუხის ქვეშ ჩამოსხდნენ დასასვენებლად.

მზე ამოვიდა და ტყეც შეეგება ფრინველების ჟრიამულით, წყაროების დუდუნით, ფოთლების ტაშით. პირქუში ტყე უცბად შეიცვალა, თვალწარმტაცი გახდა.

— აბა, გვეყოფა დასვენება, საქმეს შევუდგეთ. — თქვა ოთარმა და ზეზე წამოდგა. ბიჭებმა მერცხალა ბალახზე მიუშვეს, თვითონ კი ნაჯახები მოიმარჯვეს და შეშის დამზადებას შეუდგნენ.

შუადღემდე თითქმის ერთი ურემი შეშა დაამზადეს, — ტყის პირას გამოზიდეს და გზაზე დააწყვეს. ის იყო, ხელახლა უნდა შედგომოდნენ მუშაობას, და ოთარმა მერცხალა მოიკითხა.

ჯორი არსად ჩანდა. ბიჭები შეშფოთდნენ.

— მერცხალა, ჰაუ, მერცხალა! — ეძახდნენ ისინი, მაგრამ მერცხალა თითქოს მიწამ ჩაყლაპაო, — მისი კვალიც კი არ ჩანდა. ბოლოს გადაწყვიტეს ცალ-ცალკე ეძებნათ. ანდრო ღელის პირს შეუყვა, აღმართზე, ოთარი კი ჭალისკენ დაეშვა. მან ტყეში, ახლო-მახლო რაც ბუჩქნარები იყო, სულ შემოირბინა და ერთგან შეჩერდა: ცეცხლის დანანთები შენიშნა, ეტყობა ცოტა ხნის წინ აქ ადამიანები ყოფილან. იქვე ახლოს პატარა გამოქვაბული დაინახა. გამოქვაბულთან ცარიელი კონსერვის კოლოფები ეყარა.

„ალბათ, მონადირეებმა დაისვენეს“, — გაიფიქრა ოთარმა. ის იყო წასვლას აპირებდა, რომ მიწაზე რაღაც ბრწყინავ ნივთს მოჰკრა თვალი, ნაგავი მოქექა და ხელში ახალთახალი საპარსავი შერჩა. ოთარს გაეხარდა. მას ყოველთვის ძალიან უყვარდა ასეთი ნივთები. საპარსავი კარგად დაათვალიერა: ბიჭოს, წარწერა! მაგრამ წარწერა არც ქართული იყო და არც რუსული. ოთარმა ასოები იცნო, მაგრამ წარწერა ვერ გაიგო და თავის თავზე გული მოუვიდა. საპარსავი ფრთხილად შეხვია და ჯიბეში ჩაიდო.

მერცხალა არსად ჩანდა. დაღონებულმა ღელე გადაჭრა და ახლა გაღმა ნაპირზე დაუწყო ძებნა. მალე შენიშნა კვალიც. აშკარად მისი კვალი იყო. ოთარი მიჰყვა ნაკვალევს და თან ხმამაღლა ეძახდა მერცხალას. მალე ბუჩქნარი გათავდა და ასკილის ჯაგებში ოთარმა თვალი მოჰკრა რაღაც შავს. ახლოს მივიდა და... ეს იყო საბრალო მერცხალა.

მგელს დაეგლიჯა პირუტყვი — ცალი ბარკალი და გვერდი თითქმის გამოჭმული ჰქონდა.

ოთარს სიმწრისაგან რა ექნა არ იცოდა. გული შეეკუმშა, ცრემლები მოადგა თვალზე და უცებ ინატრა თოფი, ნამდვილი თოფი, რომ მოეკლა საბრალო მერცხალას ამ დღეში ჩამგდები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ არც მგელი იყო სადმე და არც თოფი. ასკილის ბუჩქთან მერცხალას ლეში ეგდო, ირგვლივ საშიში არაფერი ჩანდა, მაგრამ ოთარს ძალზე მოუნდა გვერდით ყოლოდა თავისი უფროსი ძმა და შეღმართს საჩქაროდ გასძახა:

— ანდროოო!

უღრანებმა ძახილი გაიმეორეს და მერე პასუხიც მოესმა:

— ოჰოჰოოოო...

— აქეთ, ანდრო, აქეეეთ.

* * *

ბიჭებმა იქვე სახელდახელოდ გათხარეს მიწა და მერცხალას ნარჩენები დამარხეს. ახლა უფრო ის აღონებდათ, — რა ეთქვათ ბებია მართასათვის. როგორ უყვარდა ბებიას მერცხალა! მერცხალა იყო მისი მარჯვენა ხელი, წყნარი, თვინიერი დამჯერე პირუტყვი.

მზე ჩასვლაზე იყო, როცა ბიჭები ტყიდან გამოვიდნენ და სოფლის გზას დაადგნენ. ერთ ხანს იარეს. დაიღალნენ, ძალიან მოშივნოდათ, მუხის ქვეშ ჩამოსხდნენ გზის პირას და საჭელი ამოიღეს. უხმოდ, უსიტყვოდ შეექცეოდნენ პურსა და ყველს.

უცებ ცხენის ფეხის ხმა მოესმათ, უკან მოიხედეს: გზაზე სამი მხედარი მოაჭენებდა ცხენებს. ბიჭები სასწრაფოდ გზის ნაპირას გადგნენ და გზა დაუთმეს მხედრებს, რომლებშიც მესაზღვრეები იცნეს. მეთაურმა, ცხენი შეაყენა და ბიჭებს მიმართა:

— ბიჭებო, სად ყოფილხართ, გზა საით გაქვთ?

— ტყეში, შეშაზე, — უპასუხა ოთარმა.

— მერე, ცხვირ-პირი რას ჩამოგტირით? — გაიცინა მესაზღვრემ.

— მგელმა ჯორი შეგვიჭამა, ძია, — წყნარად თქვა ანდრომ.

მესაზღვრეს სახე შეეცვალა.

— ვერ მოგსვლიათ კარგი საქმე, — თქვა მან, — სად მოხდა ეგ?

— ცუდი ამბავი დაგვემართა, ძია, — ჩაერია ოთარი, — აი, იქ, ხარითავას ტყეში, გამოქვაბული რომ არის, იმას იქით... იქ კონსერვის კოლოფები ეყარა და მე აი, ეს საპარსავი ვიპოვე. რა ვუთხრათ ახლა ბებიას!

— რაო? — ყური სცქვიტა მხედარმა. — რის კონსერვები, რა საპარსავი? აბა, ერთი აქ მოიტა... — ოთარს საპარსავი გამოართვა და ყურადღებით გასინჯა. ბიჭებმა შეამჩნიეს, როგორ შეიკრა მხედარმა წარბი და უფრო მეტი ყურადღებით ჩააცქერდა საპარსავს. «ალბათ, წარწერა ამოიკითხა, — გაიფიქრა ოთარმა, — მე კი ვერ ამოვიკითხე»...

— აბა, კარგად ამიხსენით, — მიუბრუნდა ბიჭებს მეთაური, — სად არის ის გამოქვაბული, ახლოს ხომ არავინ შეგიმჩნევიათ...

ბიჭებმა დაწვრილებით აუხსნეს. მეთაურმა საპარსავი ჯიბეში ჩაიდო, ცხენს დეზი შემოჰკრა და გაკურცხლა, უკან სხვა მესაზღვრეებიც გაჰყვნენ.

ბიჭები ვერაფერს მიხვდნენ და ერთმანეთს გადახედეს.

* * *

მეორე დღეს სოფელზე სამმა მხედარმა ჩამოიარა; წინ ხელებგაკრული, თავჩაქინდრული კაცი მოუძღოდათ. როდესაც ხალხის ყიჟინა მოესმა, უცნობმა წარბებქვემოდან გამოანათა ჭროღა თვალები, და ვიღაცამ დაიძახა:

— მგელივით არ იბღვირება ეს ოჯახქორი!

მეთაურმა სოფლის ბიჭებს გადახედა, ოთარსა და ანდროს გაუღიმა, თავი დაუქნია და თავისთან იხმო.

— აი, ბიჭებო, რა ჰქნა თქვენმა საპარსავმა!

მერე ტყავის პლანშეტი გაიხსნა, იქიდან შინდისფერი ავტომატური კალმისტარი ამოიღო და ოთარს გაუწოდა:

— საპარსავი ჩვენთან დარჩება. ეს კი სახსოვრად გქონდეს, მოსწავლე ხარ და გამოგადგება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთარ გიგინეიშვილი

ჩვენი მოგზაურობა დაიწყო თბილისის აეროდრომიდან 1954 წლის 28 ივლისს, დილით. პამირისაკენ მივემგზავრებოდით 22 მთამსვლელი, სწორედ იმდენი, რამდენ მგზავრსაც იტევს თვითმფრინავი „ილ-12". ამიტომ მთელი თვითმფრინავი ჩვენთვის იყო განკუთვნილი.

მალე თვალს მიეფარა თბილისი, გავიარეთ მინგეჩაურის წყალსაცავი, ბაქო, კასპიის ზღვა, თურქმენეთის დედაქალაქი აშხაბადი, ყარაყუმის უდაბნო, შუა აზიის უდიდესი მდინარე ამუ-დარია, რომელმაც ვიწრო ზოლად გაიელვა თვითმფრინავის ფრთებქვეშ. კარგად ჩანდა, რომ ამუ-დარიას წყლის ფერი ისეთივე იყო როგორიც მის გარშემო უდაბნოს ქვიშისა. ყველას გაგვახსენდა ჯერ კიდევ საშუალო სკოლაში გეოგრაფიის გაგკვეთილებზე ნასწავლი, რომ ამუ-დარია მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე უფრო მღვრიე მდინარეა. მას დიდი რაოდენობით თან მოაქვს შუა აზიის უდაბნოების ქვიშა. ამიტომ ამუ-დარიას წყალი თითქმის შავია.

ამუ-დარიასთან დამთავრდა თურქმენეთი და დაიწყო უზბეკეთი. თვალი მოვკარით ქალაქებს ბუჰარასა და სამარყანდს. ეს უზბეკეთის უძველესი ქალაქებია, სადაც შუა საუკუნეებისდროინდელი ბევრი შესანიშნავი არქიტექტურული ნაგებობაა. მაგრამ ზევიდან მათი გარჩევა შეუძლებელი იყო. ახლა კი ვინანეთ, რომ ხმელეთით არ გვიხდებოდა მგზავრობა და ამიტომ არ გვქონდა საშუალება გავჩერებულიყავით იქ, სადაც ჩვენთვის საინტერესო ადგილებს ვნახავდით.

ვჩერდებით უზბეკეთის დედაქალაქ ტაშკენტში, შემდეგ კი განვაგრძობთ გზას ყირგიზეთის ქალაქ ოშისაკენ.

ოში ყველას ძალიან მოგვეწონა. ეს ნამდვილი ქალაქი-ბაღია, ყოველი ქუჩა ხეივანია. ქუჩები სავსეა უზბეკურ და ყირგიზულ ტანისამოსში გამოწყობილი ხალხით, ჭრელი ზოლიანი ხალათებით, უზბეკური მრგვალი ქუდებით. მაგრამ არა მარტო ისინი იპყრობენ ჩვენს ყურადღებას, მთამსვლელური ჩაცმულობის გამო, ჩვენც გავხდით მათი ყურადღების საგანი. ქუჩებში ხშირად გვაჩერებენ და გვეკითხებიან, თუ სადაურები ვართ, ჩვენც ხალისით ვუხსნით, რომ ჩამოვედით საქართველოდან და მივემგზავრებით პამირისაკენ.

ერთხელ ჩაიხანაში, სადაც უზბეკები და ყირგიზები გრძელ ნარებზე გაგებულ ფარდაგებზე ისხდნენ და უშაქრო, მწვანე ფერის ჩაის შეექცეოდნენ, როგორც ეს შუა-აზიაშია მიღებული, ერთმა გრძელწვერა ყირგიზმა დაწვრილებით გამოგვკითხა თუ საით მივემგზავრებით. გამოირკვა, რომ ეს მოხუცი ყირგიზი პამირიდანაა. მან დინჯად თავი გააქნია, მოსვა ერთი ყლუპი ჩაი და დასძინა: „პამირის მწვერვალები მაღალნი და მიუვალნი არიან, ფრინველებიც ვერ ადიან მათ სიმაღლეზე — ჰაერი არ ყოფნით. მაგრამ თქვენ კავკასიონზე ხართ გაზრდილნი, ამბობენ თქვენშიც მაღალი მწვერვალებია, თქვენ ალბათ ახვალთ". შემდეგ თითო ფიალა ჩაი მოგვაწოდა და გვირჩია მთელი გზა ჩაი გვესვა, სიცხეში გაგაგრილებთ, სიცივეში კი გაგათბობთო.

ოშიდან იწყებოდა ჩვენი მგზავრობის ახალი ეტაპი. აქედან უნდა გავმგზავრებულიყავით პამირისაკენ.

ქალაქი ოში პამირის თითქმის ყველა ექსპედიციის საწყისი პუნქტია. წინათ აქ იწყებოდა დიდი საქარავნო გზა, რომელიც ფერგანის ველს და შუა აზიის სხვა მახლობელ პუნქტებს აკავშირებდა ჩინეთთან და ინდოეთთან. მრავალ დღეს უნდებოდნენ მაშინ აქლემების ქარავნები პამირის გავლას. საშიში და ძნელი იყო მათი მგზავრობა. მრავალი მოგზაური დაიღუპა პამირის მაღალმთიან უდაბნოებში და უღელტეხი-

ლებზე. ახლა კი პამირზე შესანიშნავი საავტომობილო გზა გადის. ამ გზის სიგრძე 700 კილომეტრზე მეტია. გზაზე რამდენიმე უღელტეხილია. ზოგი მათგანი 4000 მეტრს აღემატება, ხოლო ყველაზე მაღალი აკბაითალი კი 4600 მეტრს, ე. ი. ბევრად უფრო მაღალია ვინემ კავკასიონის ბევრი მარად თოვლიანი მწვერვალი.

2 აგვისტოს, ნასადილევს, ორი დატვირთული ავტომანქანით „ზის-150" გავდივართ ოშიდან. სამთო საჭურვლით დატვირთული ყუთები სკამებად გამოვიყენეთ, ზედ კი კარვები და საძილე ტომრები გადავფარეთ ისე, რომ ნამდვილ საკარძლებს დაემსგავსენ.

გზა ჯერ ველებს მისდევდა, მაგრამ მალე აღმართებიც დაიწყო და ავტომანქანები დაქანებულ ფერდობებს შეჰყვნენ.

მთების მოახლოებამ ძალიან გაგვახალისა. პირველი მანქანით მიმავლებმა სიმღერა წამოიწყეს, მათ მეორე მანქანიდან მისცეს ბანი. შემხვედრ მანქანებიდან მგზავრები ხელს გვიქნევენ, მშვიდობის გზას გვისურვებენ.

უკვე ბნელოდა, როდესაც გავიარეთ პირველი უღელტეხილი ჩიგირჩიკი და ჩავედით სოფელ გიულჩაში. ღამის გასათევად ჩაიხანას მივადექით. აქ ჩაიხანები არა მარტო ჩაის დასალევი ადგილებია, არამედ სასტუმროების როლსაც ასრულებენ.

მეორე დღე წვიმით შემოგვეგება. გადავიხურეთ კარვები და ისე შევუდექით გზას. გარშემო მიდამოს ეტყობა, რომ საკმაოდ მაღლა ვართ. შორს თოვლიანი მწვერვალებიც გამოჩნდა. შევუდექით თალდიკის უღელტეხილის აღმართს. უცებ უცნაური სტვენა შემოგვესმა. ჯერ გვეგონა, რომ ფრინველებია, მაგრამ თვალი ვერაფერს მოვკარით. მხოლოდ მერე, კარგა ხნის შემდეგ დავინახეთ ჩვენთვის უცნაური ცხოველები. შესახედავად თაგვებს ჰგავდნენ, ზომით კი მოზრდილი ლეკვების ტოლი იყვნენ. ეს იყო შუა აზიასა, მონღოლეთში და ჩინეთში გავრცელებული ცხოველი თარბაგანი. ჩვენმა ოფერმა ბორისმა, რომელსაც უკვე მრავალი წელია, პამირის ავტოტრაქტით დაჰყავს მანქანები. ბევრი საინტერესო გვიამბო ამ ცხოველების შესახებ. მასზე ნადირობა მეტად ძნელია, ვინაიდან თავის სოროს შორი მანძილით იშვიათად თუ მოსცილდება და პირველ საშიშროებისთანავე სოროში ძვრება. თარბაგანის სოროს მრავალი განშტოება აქვს და მისი ოქიდან გამოდენა თითქმის შეუძლებელია. მაგრამ თარბაგანს ღუპავს საშინელი ცნობისმოყვარეობა. როდესაც თარბაგანი ადამიანს ან სხვა რამე არსებას დაინახავს, დიდი ინტერესით ადევნებს მას თვალყურს. და მონადირემ მაშინ უნდა უხელთოს დრო და ესროლოს. სოზარ გუგავა, რომელიც შესანიშნავი მონადირეა, ჩამოდის მანქანიდან და მიდის თარბაგანზე სანადიროდ. თარბაგანებით სავსეა ფერდობები, სოზარის მიახლოებისას სოროსაკენ გარბიან, შესასვლელთან ჩერდებიან, წამოსწევენ კისრებს და დიდი ინტერესით შეჰყურებენ. ეტყობა, რომ მათში იბრძვის ორი გრძნობა: ერთის მხრივ ცნობისმოყვარეობა, მეორეს მხრივ კი შიში. ჯერ ცნობისმოყვარეობა სძლევთ, და სოზარს ახლოს უშვებენ, მაგრამ, როგორც კი სოზარი თოფს იმარჯვებს, წამსვე სოროში მიიმალებიან. ბევრი სდია სოზარმა, ბევრი ეცადა, მაგრამ ამაოდ.

შუადღისათვის გადავიარეთ თალდიკის უღელტეხილი და ალაის ველზე გავედით. ალაის ველი ალაისა და იმიერალაის ქედებს შორის მდებარეობს. სამწუხაროდ, ავდარი გრძელდება, გარშემო სქელი ნისლია, მთებიც დაბურულია. ჩვენ კი იმედი გვქონდა, რომ დავინახავდით იმიერალაის ქედის პანორამას. იმიერალაის ქედის მწვერვალები სიმაღლით ზღვის დონიდან 7000 მეტრს აღწევენ. ამ მწვერვალთა შორის არის ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უმაღლესი მწვერვალი, ლენინის სახელობისა. ამბობენ, რომ განსაცვიფრებლად დიადი და ლამაზია ეს ქედი ალაის ველიდან, ამ მხრივ მას ტოლი არა ყავს მსოფლიოს სხვა მთაგრეხილებს შორის. მაგრამ ჩვენს წინ ახლა მხოლოდ ღრუბლების სქელი ფარდაა. რა გაეწყობა, იქნებ უკან დაბრუნებისას გამოიდაროს, მაშინ მაინც შევხედავთ.

ლარივით გაწოლილი გზატკეცილით გავიარეთ ალაის ველი. ველს მოჰყვა იმიერალაის ქედის ვიწრო ხეობა და კიზილარტისა და უიბულაკის უღელტეხილები.

როდესაც კიზილარტის უღელტეხილს გავცდით, ავდარი უკან დაგვრჩა. ცა უცებ მოიწმინდა, ღრუბლები ალაის ქედის მწვერვალების უკანასკნელ ქიმებს შერჩნენ. ბუნებამაც მკვეთრად იცვალა სახე. ნამდვილ უდაბნოში ვართ, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც უიბულაკის უღელტეხილს გავცდით. ამ ადგილებს ასეც უწოდებენ — ყარაყულის უდაბნო. ყარაყული საკმაოდ მოზრდილი ტბაა ამ უდაბნოს ცენტრში. ამ ადგილებში წვიმა და თოვლი თითქმის არასდროს არ მოდის მიუხედავად იმისა, რომ ყარაყულის უდაბნოს სიმაღლე ზღვის დონიდან 4000 მეტრს აღემატება. აქ თითქმის მუდამ მზეა ზამთარშიც და ზაფხულშიც. მხოლოდ იშვიათად, ძალიან იშვიათად თუ მოიღრუბლება მცირე ხნით და ოდნავ მოთოვს ან მოწვიმს.

შებინდებისას გავიარეთ აკბაითალის უღელტეხილი და ღამე მურღაბში გავათიეთ. შემდეგ დილით კვლავ განვაგრძეთ გზა. უდაბნოებს მწვანე ბალახით მოფენილი ველები სცვლის. აქ ყირგიზების საძოვრებია. ყირგიზი მწყემსები იურტებში ცხოვრობენ. იურტა ეს მეტად ორიგინალური სახლია, ფორმით სულ მრგვალია, აშენებულია მიწაში ჩასობილ ჯოხებისაგან, რომელთაც გარშემო ქეჩა აქვთ შემორტყმული, სახურავადაც ქეჩაა გადაფარებული. იატაკად ასევე ქეჩაა გამოყენებული. იურტას ათბობენ შუაცეცხლით, რომელზედაც საჭმელსაც ამზადებენ. როდესაც მწყემსი ყირ-

15 აგვისტოს ავიკიდეთ ზურგჩანთები და მდინარე ნიშგარს ავყევით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

16 აგვისტოს 5400 მეტრის სიმაღლემდე ავედით.

გიზები ადგილიდან ადგილზე გადადიან ან საზამთრო საძოვრებზე მიდიან, თავისი სახლი-იურტაც თან დააქვთ. დაშლიან, აკიდებენ ცხენს ან აქლემს და მიაქვთ ახალ ადგილზე დასადგმელად. ასე თავისუფლად შეგიძლიათ ერთ დღეში გადაიტანოთ ადგილიდან ადგილზე მთელი სოფელი.

ღამით მდინარე ფიანჯის ნაპირას სოფელ ისორში ჩავედით. სახელდახელოდ, იქვე, მდინარის ახლოს, მწვანე მოლზე დავდგით კარვები და დავიძინეთ.

დილით შესანიშნავი სანახაობა წარმოგვიდგა: ჩვენს წინ, მდინარე ფიანჯის გაღმა აღმართულიყო უზარმაზარი, თოვლიანი მწვერვალებით დაგვირგვინებული კედელი. ეს იყო ჰინდუკუში, მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი და უმაღლესი მთაგრეხილი.

ფიანჯის იქითა ნაპირზე, ჩვენგან სულ ახლოს, დანგრეული ქოხმახები ჩანდა, რამდენიმე მათგანიდან კვამლიც ამოდიოდა, ნანგრევებს შორის ადამიანები მოძრაობდნენ. სოფლიდან ცოტა მოშორებით, ბაღში დიდი და კარგი ორსართულიანი შენობა იდგა. შიგ სოფელში კი არ იყო არც ერთი ხე. სოფელი, რომელსაც ვუყურებდით, რაღაც უცნაური იყო. როგორ არ გავდა ის ისორს, სადაც ჩვენ ვიყავით დაბანაკებულნი, ის არ გავდა არც სხვა ჩვენს მიერ ნახულ სოფელს, საერთოდ არ გავდა საბჭოთა სოფელს. კარგად ჩანდა, რომ იქ, გარდა იმ ერთი სახლისა, სოფლის განაპირას რომ იდგა, სიღატაკე და სიბეჩავე სუფევდა. მართლაც, გაღმა რომ სოფელს ვხედავდით, არც იყო საბჭოთა სოფელი. მდინარე ფიანჯაზე გადის ჩვენი დიადი სამშობლოს სახელმწიფო საზღვარი, მდინარის გაღმა კი კაპიტალისტური ქვეყანა — ავღანისტანია.

ჩვენს კარვებთან რამდენიმე ისორელი ტაჯიკი კოლმეურნე იდგა, ჩვენს გასაცნობად მოსულიყვნენ. ერთმა მათგანმა, სახელად ისმაილბეკმა, გაღმისკენ ხელი გაიშვირა და გვითხრა: „აი ის, სოფლის განაპირას რომ სახლია, სოფლის ბატონს — ხანს ეკუთვნის, ხოლო სოფელი მცხოვრებლებიანად მისი საკუთრებაა“. აქამდე ჩვენ მარტო წაკითხულიდან ვიცოდით, რომ კიდევ არსებობენ დედამიწის ზურგზე ქვეყნები, სადაც არიან ბატონები, მდიდრები და ღარიბები, ადამიანები, რომლებიც სხვა ადამიანების საკუთრებას შეადგენენ, ახლა კი რამდენიმე ასიოდე მეტრის მანძილზე ჩვენივე თვალით ვხედავდით.

ისორში ჩავედით 5 აგვისტოს. 6 აგვისტოს დილიდანვე დავიწყეთ მზადება მწვერვალებზე ასვლებისათვის. საქმე ძალიან ბევრი გვქონდა. უნდა მოგვერგო საჭურველი და მათ შორის ისეთიც, რომელიც დღემდე ჩვენთვის სრულიად უცნობი იყო. მაგალითად, შეკელტონები. შეკელტონი — ეს ქეჩაფენილი ჩექმაა და კავკასიონზე არ იხმარება, ჩვენ კი აქამდე მხოლოდ კავკასიონის მწვერვალებზე დავდიოდით. კავკასიონის მწვერვალები პამირის მწვერვალებთან შედარებით დაბალია, ამიტომ მათზე ისეთი დიდი ყინვა არ იცის, როგორც პამირის მწვერვალებზე. პირველად ვიცვამდით აგრეთვე სუსხურის ბუმბულჩაფენილ კოსტუმებს. სუსხური—ჩრდილოეთის ფრინველია და მეტად თბილი და მსუბუქი ბუმბული აქვს. ამიტომ პოლუსისა თუ ყინულოვან ოკეანეთა მოგზაურების ტანსაცმელს ყოველთვის სუსხურის ბუმბულს უფენენ. ამ ტანსაცმელში და შეკელტონებში საკმაოდ სასაცილოდ გამოვიყურებოდით — ყველანი გოლიათებს დავემსგავსეთ.

რამდენიმე დღის შემდეგ გადავინაცვლეთ სოფელ ვრანგში, რომელიც ისორიდან რამდენიმე კილომეტრითაა დაცილებული. 10 აგვისტოს დილით ბარგი ავკიდეთ ვირებს და დავიძარით ნიშგარის ხეობისაკენ. ამ ხეობით უნდა მივსულიყავით კარლ მარქსის სახელობის მწვერვალის ძირამდე, საიდანაც დავიწყებდით ამ მწვერვალზე ასვლას.

ნელა მივყვებოდით აღმართს. ჯერ იოლად მივდიოდით, მაგრამ შუადღისას, როდესაც მზეს დაგვაცხუნა, ვიგრძენით, თუ რას ნიშნავდა შუა აზია. გარშემო არ იყო არც ერთი ხე, არ იყო ბალახი, არ იყო წყალი, მხოლოდ ქვა და სილა გვერტყა. ქვა და სილა მზისგან საშინლად გახურდა და პირდაპირ გვთუთქავდა. წყალი საშინლად გვწყუროდა, მაგრამ მხოლოდ მისი შორეული ხმაური ძალიან შორიდან, სადღაც ნიშგარის ხეობის ფსკერიდან გვესმოდა, მაგრამ დასალევად ვერ მივწვდებოდით. მოთმინება გვმართებდა. ასეთია მთამსვლელობა! ყველაფერში დიდ მოთმინებას მოითხოვს. მთელი დღე ვიარეთ. ზოგ ადგილას ბილიკი იმდენად ვიწროვდებოდა, რომ ჯერ ბარგის ხელით გადატანა გვიხდებოდა და შემდეგ ვირების გადაყვანა. მხოლოდ დღის ბოლოს მივაღწიეთ მდინარე ნიშგარის ზედა დინებას და მდინარის პირას ბალახიან მინდორზე კარვები გავშალეთ.

განთიადისას თოფი გავარდა, ყველანი კარვებიდან გარეთ გამოვცვივდით. ზევიდან, მთის ფერდობიდან, ყვირილი მოგვესმა. ავიხედეთ — შორს, კლდის ქიმზე სოზარი ჩანდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სვანურ ქუდს გვიქნევდა. გვიხმობდა, აქეთ წამოდითო. სწრაფად ავიარეთ ფერდობი და წავადექით სოზარს, რომლის ფეხებთან მოკლული ჯიხვი იდო. სოზარს სიხარულისაგან სახე უბრწყინვდა. თარბაგანი რომ ვერ მოინადირა, სიმშვიდე დაკარგა, ვეღარ მოისვენა. გუშინ ბილიკზე ჯიხვის ნაკვალევი შეამჩნია და დღეს უთენია წასულა სანადიროდ. ბედმა გაუღიმა ამჯერად, კლდეებში ჯიხვების ჯოგს წააწყდა და პირველივე გასროლით მოეკლა ერთი მათგანი.

სადილად შესანიშნავი მწვადი გვქონდა.

საღამოს ჩვენ ბანაკს უცნაური ცხოველი მოუახლოვდა. „კამეჩი!" — დაიძახა ერთმა. „ხარია!" — შეეკამათა მეორე. ახლოს მივედით: არც კამეჩი იყო და არც ხარი, არამედ რაღაც საშუალო მათ შორის. კუდი კი ცხენისა ჰქონდა. ეს იყო იაკი, ანუ კუტასი. შესანიშნავი თვისების ცხოველია, თავისუფლად დადის დიდი დაქანების კლდოვან ფერდობებზე, თოვლში და ყინვარებზე. დიდ აღმართებში შეუძლია ატაროს მეტად მძიმე ტვირთი. ყირგიზები და ტაჯიკები კუტასს იყენებენ როგორც ტვირთის გადასაზიდად, ისე საჯდომად, ამისათვის მას უნაგირს ადგამენ. როდესაც პირველად ვნახეთ უნაგირდადგმული კუტასი, ყველას ღიმილი მოგვერია. აბა, რომელი ჩვენგანი წარმოიდგენდა უნაგირდადგმულ ხარს ან კამეჩს? მაგრამ, როდესაც უბილიკო მთის ფერდობებზე ვირებმა ვეღარ იარეს და ჩვენი ბარგის აკიდება კუტასებზე მოგვიხდა, მაშინ კი დავაფასეთ კუტასიც და მასზე დადგმული უნაგირიც.

ჩვენი ბანაკიდან ხეობის ბოლოში კარგად ჩანდა მარქსის სახელობის მწვერვალი, რომლის სიმაღლე ზღვის დონიდან 6726 მეტრს აღწევს. დადგა იერიშზე წასვლის დღეც. წინა საღამოთი ბანაკში დიდი ფაციფუცი იდგა. უკანასკნელად ვამოწმებდით ჩვენს საჭურველს, კიდევ ერთხელ ვირგებდით და კბილებს ვულესავდით წრიაპებს, ვალაგებდით ზურგჩანთებში პროდუქტებს, შემდეგ ისევ ვიღებდით და ისევ ვალაგებდით, ვინაიდან ხან ერთი რამ არ ეტეოდა, ხან მეორე, ვამზადებდით ფოტოაპარატებს, კასეტებში ვდებდით ფირს. ყველაზე მეტს კი ჩვენი კინოოპერატორები ოთარ დეკანოსიძე და ბორის კრეპსი საქმიანობდნენ. მათ საჭურველიც უნდა მოემზადებიათ, პროდუქტებიც და აპარატებიც. ბანაკის ხან ერთ და ხან მეორე ადგილას გაისმოდა კინო-აპარატების ზუილი, სანამ ოთარი და ბორისი არ დარწმუნდნენ, რომ კინოაპარატები მათ არ უღალატებენ.

15 აგვისტოს დილით ავიკიდეთ ზურგჩანთები და ავყევით მდინარე ნიშგარს. მალე დიდი აღმართები დაიწყო და მაშინ კარგად ვიგრძენით, თუ რამდენად მძიმე იყო ჩვენი ტვირთი. მთელი დღე მივდიოდით. კიდევ კარგი, ნაკადულები ბევრი იყო გზაზე, თუმცა თოვლის ნაყური წყალი წყურვილს ცუდად გვიკლავდა.

16 აგვისტოს საღამოსათვის 5400 მეტრის სიმაღლემდე ავედით. გარშემო მხოლოდ თოვლი და ყინულები იყო. კარვებიც თოვლზე გავშალეთ, იატაკად ქეჩა დავაგეთ და საძილე ტომრებში თბილად გახვეულებს მალე ტკბილად ჩაგვეძინა. 17 აგვისტოს ადრე გაგვეღვიძა, მაგრამ გარეთ გამოსვლა ვერ გავბედეთ, დიდი ყინვა იყო. მოგვიხდა მზის ამოსვლისათვის მოცდა, სანამ გარეთ ჰაერი ოდნავ არ შეთბა. მხოლოდ დილის 11 საათზე განვაგრძეთ გზა. სიარული გუშინდელზე უფრო ძნელი იყო. მივდიოდით დიდი დაქანების თოვლიანი ფერდებით. თოკზე სამ-სამი კაცი ვართ გადაბმულნი. თუ ერთმა დაიწყო ვარდნა ფეხის დაცდენის გამო, მეორე თოკით შეაკავებს. რაც უფრო ზევით მივდივართ, უანგბადი იკლებს და სუნთქვა გვიძნელდება. ამიტომ ყველა ვცდილობთ, რაც შეიძლება დინჯად ვიაროთ, ზედმეტი მოძრაობა არ გავაკეთოთ, ყოველ 10-15 ნაბიჯის შემდეგ ვისვენებთ რამდენიმე წუთით. 5900 მეტრის სიმაღლეზე ვჩერდებით ღამის გასათევად. რა სასიამოვნოა კარავში შესვლა და დაძინება, როდესაც ასე ხარ დაღლილი და გათოშილი! საკმაოდ მოგვშივდა კიდეც. დავანთეთ ჩვენი მცირე ზომის „პრიმუსები", გავადნეთ თოვლი და ჩაი ავადუღეთ. ახლა გაგვახსენდა ოშის ჩაიხანაში მოხუცმა ყირგიზმა, რომ გვირჩია: მთელ გზაზე ჩაი სვითო. მართლაც, არაფერია ცხელ ჩაიზე უფრო სასიამოვნო ამ სიმაღლეზე და ასეთ სიცივეში.

18 აგვისტოს 6300 მეტრ სიმაღლეს მივაღწიეთ. 8 საათი ვიარეთ და ვერტიკალით 400 მეტრი ძლივს გავიარეთ, სიგრძით ეს გზა კი ერთი კილომეტრი ძლივს გამოვიდოდა, ესე იგი ჩვენი მოძრაობის სიჩქარე საათში 120-150 მეტრს ძლივს აღწევდა. ეს ტემპიც სწრაფი გვეჩვენებოდა უანგბადის სიმცირის გამო. იმ ღამით დაიწყო პირველი და დიდი განსაცდელი. ამოვარდა ისეთი ძლიერი ქარიშხალი, რომ კარვებიც კი დაგვიხია და ცოტა დააკლდა ჩვენც უფსკრულში არ გადაგვისროლა საძილე ტომრებიანად. მთელ დღეს და ორ ღამეს ვებრძოდით ქარიშხალს, რომელსაც თან სდევდა 25-30 გრადუსი ყინვა. ვერ წარმოგვედგინა, რომ ჩვენგან სულ ახლოს ქვევით, რაღაც სულ ოციოდე კილომეტრის მანძილზე, ნიშგარის ხეობაში მზის მცხუნვარებისაგან სუნთქვაც კი ძნელდებოდა.

ავდრის გამო ამჯერად უკან დაბრუნება მოგვიხდა. ორიოდე დღის შემდეგ დაიწყო მარქსის სახელობის მწვერვალის ახალი იერიში, რომელიც გამარჯვებით დაგვირგვინდა. მწვერვალს მიაღწიეს: ა. ნემსიწვერიძემ, კ. კუზმინმა, ხ. ციშვილმა, ჯ. მეძმარიაშვილმა, დ. გუგავამ, ლ. და ზ. ახვლედიანებმა.

აგვისტოს ბოლო რიცხვებში ნიშგარის ხეობიდან გადავედით გვერდით მდებარე ქიშტი-ჯორაბის ხეობაში, სადაც აღმართულია ენგელსის სახელობის მწვერვალი. სანამ ჩვენ



ენგელსის მწვერვალის დამპყრობნი. მ. გვარლიანი, კ. კუზმინი, ა. ნემსიწვერიძე და გ. გულბანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარქსის სახელობის მწვერვალზე ავდიოდით, ექსპედიციის წევრები მ. გვარლიანი, გ. გულბანი და გ. ყალაბეგიშვილი ენგელსის მწვერვალის დაზვერვას აწარმოებდნენ. თუ მარქსის მწვერვალზე ჩვენამდე უკვე იყო მთამსვლელთა ჯგუფი ე. ბელეცკის ხელმძღვანელობით, და ამიტომ მარქსის მწვერვალის საკმაოდ კარგი აღწერილობაც მოგვეპოვებოდა, ენგელსის მწვერვალზე ჯერ არავინ იყო ნამყოფი და ამიტომ არც მისი ზუსტი აღწერილობა არსებობდა. ე. ბელეცკის მთამსვლელთა ჯგუფი, რომელიც აქ იყო 1947 წელს, მხოლოდ მიუახლოვდა ენგელსის მწვერვალს და დაასკვნა, რომ მასზე ასვლა მეტად ძნელ საქმეს წარმოადგენდა, ჩვენმა დაზვერვამ დაამტკიცა ბელეცკის ჯგუფის დასკვნის სისწორე. ენგელსის მწვერვალი წარმოადგენს გიგანტურ კედელს, რომლის ფუძესა და თხემს შორის სიმაღლეთა სხვაობა 1300 მეტრს უდრის. კედელი დაგვირგვინებულია მწვერვალით. მისი სიმაღლე ზღვის დონიდან 6510 მეტრს აღწევს. მწვერვალზე ასვლის ერთადერთი შესაძლებელი გზა მიყვებოდა თოვლ-ყინულოვან ღარს. მას საშუალოდ 70 გრადუსი დაქანება ჰქონდა, ერთი შეხედვით კი სრულიად შვეული გეგონებოდათ.

ამ უზარმაზარი კედლის დაძლევა მოითხოვდა დიდ დახელოვნებას ალპინიზმის ტექნიკაში, არაჩვეულებრივ გამძლეობას და სიმამაცეს. ასვლა მეტად საშიშიც იყო, ვინაიდან ღარში გამუდმებით ცვიოდა ქვა და ყინულის ნატეხები, რასაც სულ ადვილად შეეძლო მძიმედ დაეშავებინა მთამსვლელები. ამის გამო ღარში არ შეიძლებოდა ერთდროულად ოთხზე მეტი ადამიანის მოძრაობა. ცხადია, რომ მწვერვალზე უნდა წასულიყვნენ ჩვენ შორის ყველაზე დიდი გამოცდილების მქონენი. ესენი კი იყვნენ: მაქსიმე გვარლიანი, კირილე კუზმინი, ალექსი ნემსიწვერიძე და გრიგოლ გულბანი.

2 სექტემბერს ოთხი მამაცი მთამსვლელი გავიდა ბანაკიდან და გეზი მწვერვალისაკენ აიღო. ადგილი წარმოსადგენია მათი ღელვა, ვინც კედლის ძირას იჯდა და თვალყურს ადევნებდა მათ ასვლას. ძნელი და სახიფათო იყო გზა. საშ დღეს ებრძოდა ოთხი მთამსვლელი მწვერვალს და გაიმარჯვეს კიდეც. იერიშის მესამე დღეს მათ, ადამიანთაგან პირველებმა, შეადგეს ფეხი ენგელსის მწვერვალზე. იქ მათ დატოვეს მოკლე ბარათი, რომელშიაც ჩაწერეს ამსვლელთა გვარები, ასვლის თარიღი, ასვლის მიმართულება და ამინდი. ერთი დღის შემდეგ ქვევით დარჩენილები გულთბილად შეხვდნენ მწვერვალიდან დაბრუნებულ ამხანაგებს. ექსპედიციის უფროსის მოადგილემ ალექსი ივანიშვილმა ექსპედიციის სახელით მიულოცა მათ გამარჯვება და უსურვა ახალი წარმატებები.

მარქსისა და ენგელსის მწვერვალებზე ასვლის გარდა ექსპედიციის მონაწილენი ავიდნენ კიდევ სამ უსახელო მწვერვალზე, რომელთა სიმაღლე აგრეთვე 6000 მეტრს აღემატება, და ყოველ მათგანს უწოდეს სახელი. ალპინიზმში არსებობს წესი: თუ ადამიანი ადის ისეთ მწვერვალზე, რომელზედაც მანამდე არავინ ყოფილა და რომელსაც არც სახელი აქვს, პირველამსვლელს უფლება აქვს მწვერვალს დაარქვას სახელი. ჩვენებიც ასე მოიქცნენ: მ. გვარლიანმა, გ. გულბანმა და კ. კუზმინმა უსახელო მწვერვალს, რომელზედაც ისინი ავიდნენ, უწოდეს საბჭოთა ალპინიზმის ფუძემდებლის პროფესორ გიორგი ნიკოლაძის სახელი, მეორე უსახელო მწვერვალს, რომელზედაც ავიდნენ მ. გვარლიანი, გ. გულბანი და გ. ყალაბეგიშვილი ეწოდა 1929 წელს თეთნულდზე დაღუპულთა ს. ჯაფარიძისა და პ. დვალის სახელი, ხოლო ს. და დ. გუგავებმა და ლ. და ზ. ახვლედიანებმა მესამე უსახელო მწვერვალს, რომელზედაც ისინი აგრეთვე პირველამსვლელები იყვნენ, უწოდეს სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელი.

ეს ექსპედიცია წარმოადგენდა ქართველ მთამსვლელთა მიერ მსოფლიოს უმაღლეს მწვერვალთა ათვისების დასაწყისს და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამ დიდ და საპასუხისმგებლო საქმეში რამდენიმე წლის შემდეგ ჩაებმებიან ისინიც, ვინც ამჟამად სკოლის მერხებს უსხედან.

თვალსაცერა

ზღაპარი

იყო ერთი მოხუცი მონადირე, მეტად ჭკვიანი და გამოცდილი კაცი. ერთხელ ცოლს მოუხმო და უთხრა: «ვგრძნობ, მალე მოვკვდები, შვილებს კი ცხოვრების სიძნელეებისა არაფერი გაეგებათ და ეს წამყვება დარდად, სანამ სულს დავლევდე, მინდა გამოვაწრთო ჩემი ვაჟებიო».

— შენი სიკვდილი მგელსაც შეუჭამია, ისე კი ჭკვიანური აზრი მოგსვლიაო, — უპასუხა ცოლმა.

— მაშ ბიჭებს დამიძახე, შენ კი იმდენი საგზალი გააკეთე, სამ კაცს სამ წელიწადს რომ ეყოსო, — უთხრა მონადირემ.

მალე მოხუცი მამის წინაშე ორი გაჟიშვილი გამოცხადდა.

— რას გგიბრძანებო, — ჰკითხეს მონადირეს შვილებმა.

— მოემზადეთ, ხვალ დილით სანადიროდ უნდა წაგიყვანოთ, მაგრამ ჩვეულებრივი ნადირობა როდი იქნება. მრავალ ფათერაკს გადავეყრებითო.

— მაინც, რა ფათერაკსო? — ცოტა შეშინდა უფროსი ძმა.

— ერთი მთა უნდა მოვთხაროთ, რომელიც პირიდან ცეცხლსა ჰყრის, ერთი ტყე უნდა გავკაფოთ, რომელშიც ფოთოლზე უჭარბესი ლომებია და ერთი დამონებული ქალაქი უნდა დავიხსნათ კაციჭამიების ჯარისაგანო.

— მე არ წამოვალო! — ახლა მართლა შეშინდა უფროსი ვაჟი, თანაც გულში გაიფიქრა: «თუ ჩემი ძმა წავა, ის მზეთუნახავი ზე დამრჩება ცოლადო».

უმცროსი ძმა კი ჩუმად იყო და მორჩილებით შესცქეროდა მამას.

ბევრი უყვირა და ეხვეწა უფროს ვაჟს მონადირემ, მაგრამ ვერაფრით დაიყაბულა და ძალით ხომ ვერ წაიყვანდა. მერე წამოდგა, ერთი მრისხანედ გადახედა უდიერსა და ჯიუტ შვილს და ცოლს გასძახა: გააკეთე თუ არა საგზალიო.

— ჯერ ნახევარიც არ გამიკეთებია, ორ კაცს ორ წელიწადს თუ ეყოფაო, — უპასუხა ცოლმა.

— ჰოდა, მეტიც აღარ გვინდა, ნუღარ აკეთებო.

მეორე დილას მონადირემ და უმცროსმა ვაჟმა გუდა-ნაბადი აიკრეს და გზას გაუდგნენ.

დღეები დღეებს მისდევდა, თვეები—თვეებს; შინ დარჩენილი უფროსი ძმა იჯდა და ლაზღანდარობდა, მხოლოდ მაშინ გაჩუმდებოდა, როცა დედა სადილად დაუძახებდა. ღამით კი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზეთუნახავთან შესახვედრად მიდიოდა, მაგრამ ქალი ახლოს არ იკარებდა. მაინც იმედიანად ბრუნდებოდა სახლისაკენ უფროსი ძმა, სულერთია, დღეს ან ხვალ ჩემი ცოლი გახდება მზეთუნახავიო. ხანდახან ახსენდებოდა უმცროსი ძმა და გულში დასცინოდა: რა ძალა ადგა, რომ წავიდა, ახია თუ ცოცხალი არ დაბრუნდებაო.

ერთ საღამოს უფროსმა ძმამ თვალი მოჰკრა ეზოში შემოსულ ახოვან ვაჟკაცს, იღლიაში თოფრა ამოეჩარა, თმები გადატრუსული ჰქონდა, მარცხენა ხელზე ორი თითი აკლდა და ყოველი ნაბიჯის ვადადგმაზე კოჭებამდე ეფლობოდა მიწაში. ვერ იცნო უფროსმა ძმამ უცხო ჭაბუკი, მაგრამ სახლიდან დედა გამოვიდა და უეცრად შეჰყვირა: «უი, შვილო, შენ დაგენაცვლეო», გაქანდა და კისერზე ჩამოეკიდა ჭაბუკს. მხოლოდ ახლა იცნო უფროსმა ძმამ უმცროსი.

— მამა სადღაა? — ჰკითხა შეშფოთებულმა დედამ.

— ვეღარ გაუძლო გაჭირვებას, გზაში დალია სული და აჰა, მისი ძვლები თან წამოვიღეო, — ცრემლი მოერია უმცროს ძმას და თოფრა ფრთხილად დადო მიწაზე. დედამაც ტირილი დაიწყო. უფროსი ძმა კი ცხვირწინ აეტუზა უმცროსს და აღარ მოასვენა შეკითხვებით:

— თმა რამ გაგიტრუსაო?

— ცეცხლოვან მთას რომ ვთხრიდით, მაშინ შემეტრუსაო.

— თითები სადღა დაკარგეო?

— ტყეს რომ ვკაფავდით, ლომმა გამკრა კბილიო.

— მიწაში რად ეფლობიო?

— დამონებულ ქალაქს რომ ვათავისუფლებდით, კაციჭამიებმა ტყვიები დამიშინეს და იმან დამამძიმაო.

— თავს რას იტკივებდიო, — თქვა ბოლოს უფროსმა ძმამ და ჩაიცინა, — ჩემსავით სახლში მჯდარიყავი და ეგრე აღარ დამახინჯდებოდი. ახლა მზეთუნახავი მე გამომყვება ცოლადო.

ამის თქმა და გამაყრუებელი ქუხილი ერთი იყო. ცა შავი ღრუბლებით დაიფარა. ისეთი სიბნელე ჩამოწვა, თითქოს ქვეყანა დაბრმავდაო. კიდევ გავარდა მეხი და სოფლის ბაღ-ვენახებს ცეცხლი შემოენთო. უფროს ძმას არასოდეს გაეგონა ჭექა-ქუხილი და არც იცოდა, თუ რა ხიფათი ელოდა, იკრიჭებოდა და გაავებულ ცას ტაშს უკრავდა. უმცროსი ძმა კი შეშინდა: ორი წლის მანძილზე, ვინ იცის, რამდენი ჭექა-ქუხილი დასტყდომოდა თავს და კარგად იცოდა, რა ზიანის მოტანაც შეეძლო. შეშინდა და თვალები საცრისოდენა გაუხდა. მაგრამ უეცრად თვალების შესაბამისად ტანიც გაეზარდა, ბეჭებიც გაუფართოვდა, მთებისოდენა კუნთები დაასხდა მკლავებზე, ისე აეყარა სხეული, თავი ცას ებჯინებოდა, გაიქნა-გამოიქნია ხელები, მიჰფანტ-მოჰფანტა ღრუბლები და ჭექა-ქუხილიც შეწყდა. მთელი სოფელი შეგროვდა მადლობის სათქმელად. მისი ამბავიც გამოკითხეს და თვალსაცერა შეარქვეს. მზეთუნახავმა მალამო წაუსვა თავზე და გადატრუსული თმები ხელახლა ამოექოჩრა. უფროსი ძმა კი შურით იჭაჭებოდა.

გაიარა დრომ. ერთ ზაფხულს ისეთი გვალვა დაიჭირა, რომ შემწვარი ჩიტები ცვივოდნენ ჰაერიდან. სოფელს სიმშილით სიკვდილი ელოდა. უფროსმა ძმამ არ იცოდა რა უბედურებაც იყო გვალვა. იკრიჭებოდა და უსაქმურობისაგან მზეზე ენას იშრობდა. თვალსაცერა კი შეშინდა: ორი წლის მანძილზე მრავალი სოფელი ენახა გვალვით გადაბუგული და იცოდა რა ზიანის მოტანაც შეეძლო გვალვას. შეშინდა და თვალები საცრისოდენა გაუხდა. მაგრამ თვალების შესაბამისად ტანიც გაეზარდა, ბეჭებიც გაუფართოვდა, მთებისოდენა კუნთები დაასხდა მკლავებზე, დაავლო ხელი უზარმაზარ კლდეს და გვერდზე მოისროლა. კლდის უკან თვალუწვდენელი ტბა ელვარებდა. გადმოეშვა წყალი სოფლისაკენ, მორწყა და გამოაცოცხლა ყანები მთელი სოფელი შეგროვდა მადლობის სათქმელად. მზეთუნახავმა მალამო წაუსვა თვალსაცერას და ლომის წაკვნეტილი ორი თითი ისევ წაეზარდა. უფროსი ძმა კი შურით იჭაჭებოდა.

გაიარა დრომ. ერთ ღამეს სოფელს კაციჭამიათა ჯარი შემოესია. მრავალი ოჯახი ამოწყვიტა და დედიან-ბუდიანად გააჩანაგა. უფროს ძმას არასოდეს ენახა კაციჭამიები და არ იცოდა რა სისხლისმსმელებიც იყვნენ. იკრიჭებოდა და ბავშვივით ახარებდა ხმლების ლაპლაპი. თვალსაცერა კი შეშინდა: ორი წლის მანძილზე რამდენ ჯარ-ჯარამათს შეჰბმია და იცოდა რა ზიანის მოტანაც შეეძლო სოფლისათვის. შეშინდა და თვალები საცრისოდენა გაუხდა. მაგრამ თვალების შესაბამისად ტანიც გაეზარდა, ბეჭებიც გაუფართოვდა, მთებისოდენა კუნთები დაასხდა მკლავებზე. მიჰყო ხელი კაციჭამიებს და სულ წიწილებივით წააგლიჯა თავები. მთელი სოფელი შეგროვდა მადლობის სათქმელად. მზეთუნახავმა მალამო წაუსვა თვალსაცერას და რაც სხეულში ტყვია ჰქონდა ჩარჩენილი სულ გარეთ გადმოსცვივდა. უფროსი ძმა კი შურით იჭაჭებოდა.

ბოლოს გლეხებმა ჰკითხეს თვალსაცერას, როგორ არის, რომ ყველა განსაცდელსა და უბედურებას ასე ადვილად სძლევო. თვალსაცერამ უპასუხა: მამაჩემმა გამომაწრთო და მასწავლა სიძნელეებთან ბრძოლაო. ადგა მთელი სოფელი და მუხლი მოიყარა იმ საფლავთან, სადაც მოხუცი მონადირის ძვლები იყო დამარხული.

ამის შემდეგ თვალსაცერამ კიდევ მრავალ გაჭირვებას გადაარჩინა სოფელი. მზეთუნახავი ბოლოს ისე მოიხიბლა მისი გმირობით, რომ ცოლადაც გაჰყვა. უფროსი ძმა კი შურით კვდებოდა და უკვირდა: ასეთი გამოუცდელი და უუნარო რამ გამაჩინა ამ ქვეყანაზეო.

ედიშერ ყიფიანი

ნახ. ლ. გუდიაშვილისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი საბავშვო მწერლები

გრიგოლ აბაშიძის საბავშვო პოემები

ცნობილმა ქართველმა პოეტმა გრიგოლ აბაშიძემ, რომლის შემოქმედება დიდად პოპულარულია ყველა ასაკის მკითხველთა შორის, ამ დღეებში გამოაქვეყნა საბავშვო პოემების წიგნი.

ყველა თქვენგანს წაუკითხავს ისინი, როდესაც საბავშვო ჟურნალებში იბეჭდებოდა, მაგრამ ერთად თავმოყრილი, მოზრდილი კრებულის სახით, მხოლოდ ახლა გამოქვეყნდა.

კვლავ პირვანდელი სიცოცხლით გხიბლავთ „რუსთავის მერცხლები“, გულის სიღრმემდე შეგაძრწუნებთ მერცხლის პირით გადმოცემული ამბავი ზანგთა დევნისა და გაჩანაგებისა, გიხარიათ, რომ მრავალტანჯულმა ფრთოსანმა ჩვენი სამშობლოს ნორჩ ქალაქ რუსთავში იპოვნა ბედნიერი სავანე. უბრალო და სადა ფორმით მასში გადმოცემულია მნიშვნელოვანი სოციალური მოვლენები, დაპირისპირებულია ორი სამყარო, სადაც ერთგან სიხარული და ბედნიერებაა, ხოლო მეორეგან გაჭირვება და სიღარიბე.

ჩვენი ადამიანების მამაცური შრომის ქებათა-ქებაა პოემა „გმირები“. მასში მოთხრობილია ამბავი იმის შესახებ, თუ როგორ ესტუმრა პატარა ჯონდო ხუთი გმირის ოჯახს, როგორ აღფრთოვანებულია იგი ამ გმირებით. მკითხველს სჯერა, რომ ჯონდო სახალხო საქმისათვის შრომით შთაგონებული მომავალი გმირია.

შესანიშნავად არის დაწერილი „ყველაზე ძლიერი“. აქ ერთმანეთში ოსტატურადაა შეზავებული ზღაპრისა და სინამდვილის ელემენტები. ყველაფერი ისეა გადმოცემული, რომ ნორჩი მკითხველი დაძაბული ადევნებს თვალ-ყურს ამბავთა მსვლელობას. და მართლაც, რამდენი ნორჩი გონება დაფიქრებულა იმაზე, თუ რა უფრო ძლიერია — ღრუბელი, ქარი, კლდე, წყალი, თუ ადამიანი. პოეტი გვიჩვენებს, რომ სამყაროს ბატონ-პატრონი, მისი მფლობელი და უძლიერესი ქმნილება ადამიანია. ეს იგია, რომ ამარცხებს და თავის ნებასურვილს უმორჩილებს მრისხანე წყალვარდნილებს ათვინიერებს და კაცობრიობის კეთილდღეობის სამსახურში აყენებს ბუნების სტიქიურ ძალებს.

როცა ამ პოემის კითხვას ამთავრებთ, გაგონდებათ დიდი რუსი მწერლის მ. გორკის სიტყვები „ადამიანი—ამაყად ჟღერს“.

თქვენს ყურადღებას მიიპყრობს აგრეთვე „მოსკოვი-მესტია“, რომელიც ამ ორი კუთხის ბავშვთა გულითად მეგობრობაზე მოგვითხრობს. კითხულობთ ამ პოემას და ცოცხლად გეხატებათ როგორც ცათამბჯენებით, მეტროთი და სხვა ზღაპრული ნაგებობებით შემკული დედაქალაქი, ისე კავკასიონის ზვიადი მთების უბეში შეფარებული სკანეთი, ცოცხალი და ხალისიანი საბჭოთა ბავშვები.

მდიდარია ქართველი ხალხის ზეპირსიტყვიერება— ფოლკლორული საუნჯე ვის არ ხიბლავს ჩვენი შესანიშნავი ზღაპრები. ზოგ მათგანს გმირული, ვაჟკაცური ამბები ამშვენებს, ზოგის მოსმენაზე კი გულიანად იცინით, ნამდვილ აღფრთოვანებას განიცდით. ზღაპრები ახლაც იქმნება. ამ საქმეში ხალხთან ერთად მწერლებიც მონაწილეობენ. თავისი შინაარსითა და თხრობის ბევრი ნიშნით გრიგოლ აბაშიძის „ავი ღლავი“, „მეცამეტე გოჭი“, „რატომ არ აქვს კურდღელს კუდი“ და განსაკუთრებით „ნაბოლარა წიწილა“ ძალიან უახლოვდება ხალხური შემოქმედების საუკეთესო ნიმუშებს.

აი, მაგალითად, ავი ღლავი, რომელიც ცნობილია თავისი ღორმუცელობით და ნაღმის მსხვერპლი ხდება. ამბავი აქ ისეა გაშლილი, რომ მკითხველი შესაფერის მორალურ დასკვნებს აკეთებს.

ახლებურად აქვს გადაჭრილი ავტორს „მეცამეტე გოჭის“ მოაზული თემაც. ამ პატარა პოემის კითხვისას თქვენ სიბრალულის გრძნობა გეუფლებათ უსამართლოდ დაჩაგრულისადმი.

სახალისო სიუჟეტი აქვს პოემას „რატომ არ აქვს კურდღელს კუდი“. ამბავი მასში თავბრუდამხვევი სისწრაფით ვითარდება, იტაცებს მკითხველს. მაგრამ ამ ნაწარმოების მიზანი მხოლოდ ის როდია, რომ გაართოს ბავშვი; იგი ამავე დროს შემეცნებით საწყისსაც შეიცავს და მხატვრული საშუალებით ნათელყოფს, თუ როგორ ეგუებიან პირობებს ცხოველები და როგორ უვითარდებათ მათ სწორედ ის თვისებები, ის ორგანოები, რომელთაც არსებობისათვის ბრძოლაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

მაგრამ შეიძლება გადაჭრით ვთქვათ, რომ „ნაბოლარა წიწილა“ ყველაზე მეტად გავს ტრადიციულ ქართულ ზღაპარს. იგი საინტერესოა თავისი სიუჟეტითაც და მორალითაც. მართლაც და, როგორ შეიძლება არ მოგეწონოთ ნაბოლარა წიწილას მოხერხება, წინდახედულება, გამბედაობა, კეთილშობილება და მეგობრობის, ურთიერთგატანის თვისებები, რასაც პოემის პერსონაჟები იჩენენ. ისინი შეერთებული ძალით ამარცხებენ ბოროტ ძალებს.

გრიგოლ აბაშიძის პოემები მხოლოდ თემებით, შინაარსით, გააზრებით როდი გვიზიდავენ. ისინი მკითხველს ხიბლავენ ნათელი საღებავებით, ლაღი პოეტური ენით, მუსიკალური კეთილხმოვანებით.

„საბავშვო პოემების“ სახით ქართველმა ნორჩმა მკითხველმა ძვირფასი საჩუქარი მიიღო.

ვასილ გაიაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვაწყოთ შეჯიბრებები

დადგა ზაფხული — საინტერესო და მრავალფეროვანი სპორტული გართობებით. მოსწავლეს, რომელმაც წარმატებით დაამთავრა სასწავლო წელი, შეუძლია შინაარსიანად გამოიყენოს არდადეგები. ფეხბურთი, ჭიდაობა, კალათბურთი, მაგიდის ჩოგბურთი და სპორტის სხვა სახეები მას გააკაჟებს და ხელს შეუწყობს სრულყოფილ ფიზიკურ განვითარებაში. მაგრამ არის კიდევ ჭადრაკის თამაში, რომელიც ავარჯიშებს გონებას, ლესავს გონებამახვილობას, აჩვევს ინტენსიურ გონებრივ მუშაობას, სიდინჯეს, დაკვირვებულობას.

ჭადრაკის მოთამაშის სიძლიერე განისაზღვრება მისი წარმატებით ტურნირებში. მოჭადრაკის ძალის გამომხატველია სპორტული თანრიგი, რომელიც იწყება მე-5 საკავშირო თანრიგით და გროსმაისტერობით მთავრდება.

არდადეგებზე შეიძლება მოეწყოს ჭადრაკში მრავალი სახის შეჯიბრება. ბანაკის ჩემპიონატი (ვაუებისა და გოგონებისა ცალცალკე), რომელსაც წინ უნდა უსწრებდეს რგოლების, რაზმებისა და რაზმეულების პირველობები, ბანაკის გუნდური პირველობა, ოლიმპიური ტურნირები, რომელშიც ორი პარტიის წამგები გადის შეჯიბრებიდან, საკონსულტაციო პარტიების თამაში და სხვ. საინტერესოა შეჯიბრება საჭადრაკო ამოცანებისა და ეტუდების სწრაფ და სწორ ამოხსნაში. ამ შეჯიბრებისათვის ხელმძღვანელი არჩევს რამდენიმე — ორ, სამ, ოთხსვლიან ამოცანას, რომელთა ამოხსნას შეძლებენ ნორჩი მოჭადრაკეები. ამოცანები გადასაწყვეტად მოსწავლეებს თანმიმდევრობით ეძლევა. თითო ამოცანის ამოხსნაზე ინიშნება დრო. ის, ვინც ჩაეტევა ამ დროში, მიიღებს სათანადო ქულებს, ხოლო საბოლოო ჯამში ვისაც მეტი ქულა აღმოაჩნდება, ჩემპიონად გამოცხადდება.

ყველაზე საინტერესოა სატურნირო ბრძოლა, სადაც მოჭადრაკეს უხდება კარგი სვლის, კომბინაციის მონახვა, ამასთან იგი ბრძოლაში ავლენს ნებისყოფის სიმტკიცეს, თავის ნამდვილ საჭადრაკო ძალას. მაგრამ მიზანშეწონილია ისე მოეწყოს ტურნირი, რომელიც შეიძლება ამავე დროს პირველობაც იყოს, რომ მას სათანრიგო მნიშვნელობაც ჰქონდეს. თანრიგის მიღებისათვის აუცილებელია ყოველმა მოთამაშემ ტურნირში სულ მცირე ათი პარტია გაითამაშოს, ე. ი. ტურნირში უნდა მონაწილეობდეს არა ნაკლები 11 მოჭადრაკისა. შეიძლება აგრეთვე 6 მოჭადრაკის მონაწილეობით გაიმართოს ორწრიანი ტურნირი, ე. ი. მოთამაშეები ერთმანეთში ორ-ორ (სულ 10) პარტიას გაითამაშებენ.

თანრიგების მიღების წესი ასეთია: თუ ტურნირის არც ერთ მონაწილეს არ გააჩნია თანრიგი, მაშინ ის, ვინც ათ პარტიაში მოაგროვებს 5 ქულას, ე. ი. შესაძლებელი ქულების 50 პროცენტს, მიიღებს საკავშირო მეხუთე თანრიგს, თუ თერთმეტივე მონაწილეს უკვე აქვს მეხუთე თანრიგი, მაშინ მოთამაშეს მეოთხე საკავშირო თანრიგის მიღებისათვის ათ პარტიიდან დასჭირდება 6,5 ქულის მოგროვება. ამ თანრიგების მიღებისათვის აუცილებელი არაა სატურნირო პარტიების ჩაწერა. მესამე თანრიგი, როგორც წესი, ეძლევათ მეოთხეთანრიგოსნებს, რომლებიც ქულათა შესაძლებელი რაოდენობიდან 70 პროცენტს დააგროვებენ. მეორე და პირველი თანრიგის მიღება უფრო ძნელია, რადგან პარტიების ჩაწერასთან ერთად, მოჭადრაკეს უსაზღვრავენ სვლებზე მოფიქრების დროს, რისთვისაც თამაშის დროს უდგამენ სპეციალურ საჭადრაკო საათს.

ტურნირის წინ ეწყობა კენჭის ყრა, იმისათვის, რომ გაირკვეს ვინ რომელი ფერით თამაშობს. საჭადრაკო პრაქტიკამ ცხადყო, რომ თეთრებით თამაში უკეთესია, რადგან პირველი სვლა თეთრებს ეკუთვნით. საჭადრაკო კოდექსში მოყვანილია სპეციალური ცხრილები, რომლის მიხედვით არკვევენ ფერს. მაგრამ არსებობს კიდევ ასეთი ზოგადი წესი, რომელიც ამ ცხრილებიდან გამომდინარეობს. დავუშვათ, ტურნირში 12 მონაწილეა (ეს წესი მონაწილეთა სხვა რაოდენობაზეც გამოდგება), თუ ერთმანეთს კენტი (3, 11) ან წყვილი (8, 4) რიცხვები ხვდებიან, თეთრებით ყოველთვის თამაშობს დიდი რიცხვი (11, 8). მაგრამ თუ რიცხვები შერეულია (3, 6) თეთრებით თამაშობს პატარა რიცხვი. საჭიროა ვიცოდეთ ერთი გამონაკლისიც, რომ მე-12 ნომერი (სხვა შემთხვევაში ცხრილში უკანასკნელი, ოღონდ წყვილი) ყველა მას, ვინც ცხრილში მეექვსე ნომერზე ქვევითაა (7, 8) ეთამაშება თეთრებით, ხოლო ზედა ნომრებს (1, 2, 3) — შავებით.

ტურნირში თამაში მიმდინარეობს „საბჭოთა კავშირის ერთიანი საჭადრაკო კოდექსით", რომელიც აუცილებლად უნდა ჰქონდეს შეჯიბრების მსაჯს. კოდექსი განმარტავს თამაშის წესს. მაგალითად, ვალდებული ხარ ითამაშო იმ ფიგურით, რომელსაც მოჰკიდებ ხელს; მეფეზე და ლაზიერზე დამუქრება არ ცხადდება; თუ ხელი მოჰკიდე ისეთ ფიგურას, რომელსაც არა აქვს სვლა, მაშინ კეთდება მეფით საჯარიმო სვლა; ფიგურის გასწორების სურვილის შემთხვევაში საჭიროა წარმოთქვა სიტყვა „ვასწორებ" და შემდეგ გაასწორო ფიგურა. ყველა მოჭადრაკე უნდა დაემორჩილოს სატურნირო დისციპლინას.

ძალიან საინტერესოა შეჯიბრება ორ კოლექტივს შორის, რომელიც შეიძლება ერთ თვესაც გაგრძელდეს. ორი რაზმი ან ორი რაზმეული ერთდროულად ერთმანეთში გაითამაშებს ორ პარტიას — ერთს თეთრებით, მეორეს — შავებით. თამაშში მონაწილეობს თითოეული მხარის უძლიერესი 5-6 მოჭადრაკე. თამაშის მსვლელობისას კარგია სპეციალური ხელთნაწერი ბიულეტენის გამოშვება, რომელიც რაზმს აუწყებს მათი მოჭადრაკეების ბრძოლას.

მოვაწყოთ შეჯიბრებები ჭადრაკში.

თ. გიორგაძე,
ოსტატობის კანდიდატი ჭადრაკში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოკლედ ყველაფერზე

მშრალი ყინული

ზაფხულის ცხელ დღეებში გამყიდველები ნაყინით ვაჭრობენ და ყუთებიდან მკვრივ ფერად პაკეტებს ალაგებენ, რომლებიც არეულად აწყვია ყუთში ბოლისფერ ნივთიერებასთან—მშრალ ყინულთან ერთად. ეს ყინული არ დნება, არამედ სწრაფად იქცევა გაზად. მშრალი ყინული ჩვეულებრივ ყინულზე გაცილებით უფრო ცივია. მისი ტემპერატურა—მინუს 79 გრადუსია.

მშრალი ყინული — მაგარი ნახშირმჟავა გაზია, მას მოიპოვებენ ქვანახშირიდან, რომელიც, ჩვეულებრივ, სითბოს გვაძლევს და არა სიცივეს.

როგორ მზადდება მშრალი ყინული?

ქვანახშირის დაწვისას მიიღება ბოლისებური გაზი, რომელიც 15 პროცენტამდე ნახშირმჟავა გაზს შეიცავს. ქიმიკოსები ამ ბოლისებური გაზიდან გამოყოფენ ნახშირმჟავა გაზს და სპეციალურ აპარატებში



მაღალი დაწოლის საშუალებით გადააქცევენ სითხედ და შემდეგ მაგარ მშრალ ყინულად.

საშმელი ბუდეები

წყნარი ოკეანის კუნძულებზე (სუმატრა, ბორნეო, ცეილონი და სხვ.) გვხვდება ჩიტის ბუდეები, რომელიც საუკეთესო ყელის ჩასაგემრიელებელია.

მაის-ივნისში, იმ დროს, როცა ბუდეებს იკეთებენ, აქ ჩიტებს ეწყობათ სანერწყვე ჯირკვლების გაძლიერებული მუშაობა, გამოიყოფა წებოვანი სითხე, რომელიც ჰაერზე მაგრდება. ამ სითხისაგან ჩიტები გააკეთებენ ბუდეს და სადმე მოფარებულ ადგილას მიაწებებენ. მაგრამ ადამიანები მათ ეძებენ და მოხსნიან ხოლმე. ამის შემდეგ ჩიტები უკვე ბუმბულისა და ბალახისაგან იკეთებენ ბუდეს.

ნერწყვის ბუდეები თითქმის გამჭვირვალეა, თეთრი ან მოყვითალო ფერისა. ბუდეებს ხარშავენ და ასუფთავებენ; მიიღება ჟელეს მაგვარი მასა, რომელიც თითქმის 50% ცილასშეიცავს.

ეს მასა დიდ გამოყენებაშია ტიბეტის მედიცინაში. ამტკიცებენ, რომ მას აქვს სამკურნალო თვისებები, განსაკუთრებით კარგია დაღლილობის წინააღმდეგ.

ყალიონისებური გოგრა

გრძელი, 10—12 მეტრის სიგრძის ღეროები დიდრონი ფოთლებით ეხვევა და ხალიჩასავით ეფარება ღობეებს, ტერასებსა და ფანჩატურებს. ეს გახლავთ ნაზი, სითბოსმოყვარული მცენარე ლაგენარია, რომელიც ჩვენს გოგრას ენათესავება. ლაგენარიას ნაყოფი ჩვეულებრივი გოგრისაგან განსაკუთრებული მკვრივი ქერქით და ფორმის დიდი სხვადასხვაობით განირჩევა. სამხრეთ ამერიკის მოსახლეობა გრძელი მოხრილი ნაყოფისაგან სასულე ინსტრუმენტებს ამზადებს. მსგავსმაგვარი ნაყოფიდან კი—თასებს, ხელადებს, ხშირად კი ყალიონებს. ამიტომაც ლაგენარია სპეციალურ პლანტაციებზე მოყავთ.

ნორჩ გოგრებს ვიდრე ქერქი გაუმაგრდებოდეთ, ყალიონის ფორმას აძლევენ. როდესაც ნაყოფი მწიფდება, გამოგულავენ, გაახმობენ და გადაამუშავებენ. ამგვარად მიიღებენ მეტად მსუბუქ და გამძლე ყალიონებს, რომელნიც ფერით თითქმის არ განირჩევიან ჩვეულებრივი ხვირთქლის ყალიონისაგან.



კომოდოს დრაკონი

ინდონეზიის კუნძულის სუმბავას აღმოსავლეთით მდებარეობს პატარა, უდაბური კუნძულები: კომოდო, რინგა, და სხვ. აქ, მშრალ გამოქვაბულებში, მაღალ ბალახსა და შამბნარში ცხოვრობს თანამედროვე ხვლიკების—ვარანების ყველაზე დიდი სახეობა, რომელიც სიგრძით 3.5 მეტრს და წონით 100 კილოგრამს აღწევს.

პირველად ეს ქვეშძრომები, რომლებმაც კომოდოს დრაკონის სახელწოდება მიიღეს, 1912 წელს იქნა აღმოჩენილი. არასოდეს ისინი წყალში არ შედიან, რითიც განსხვავდებიან იმ ვარანებისაგან, რომლებიც გავრცელებულია აფრიკაში, ავსტრალიაში, სამხრეთ აზიაში, და რომელთა ცხოვრებაც წყალთანაა დაკავშირებული.

დიდ სიცხეში, როდესაც კუნძულებზე მწვანე ხმება და მისი ფერიც იცვლება, დრაკონის შემჩნევა მეტად ძნელია: თავის ზემოთა ნაწილი, გვერდები და კუდი წაბლისფერი აქვს, ზურგი და მხრები — ნარინჯისფერი, ყელი და გული კი—ყვითელ-მწვანე. ასეთი ფერი ცხოველს შესაძლებლობას აძლევს შეუმჩნევლად მიეპაროს მსხვერპლს.

კომოდოს დრაკონი საშიში გამანადგურებელია. იგი მეტად ღონიერია, აქვს მაგარი ყბები, გრძელი უკანგადაგრეხილი კბილები, კუნთოვანი თათები, მჭრელი ბრჭყალები და ძალოვანი კუდი, შველზე და გარეულ ღორზედაც ნადირობს.

კომოდოს დრაკონის ტყავი ნიანგის ტყავივით ძვირად ფასობს. მისგან ამზადებენ ფეხსაცმელებს, ჩემოდნებს და სხვა ნივთებს. ამ იშვიათი ხვლიკის განადგურებისაგან დასაცავად კომოდოსა და სხვა კუნძულებზე დაარსებულია ნაკრძალები. თუ საჭიროა მისი ზოოპარკისათვის ცოცხლად დაჭერა, იყენებენ მახეს, სადაც მიტყუების მიზნით მახეში ათავსებენ გოჭს.

ზოოპარკში კომოდოს დრაკონი დიდხანს ცოცხლობს და იმდენად ეჩვევა ტყვეობას, რომ მომვლელის ხელიდან სჭამს და ფეხდაფეხ დასდევს მას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეხოლოტი ეძებს თევზს

ეხოლოტი—ზღვის სიღრმეების საზომი ხელსაწყოა. მიუხედავად თანამედროვე ეხოლოტის რთული მოწყობილობისა, მისი მოწყობილობის პრინციპი მეტად უბრალოა. ულტრაბგერა (მაღალი სიხშირის ბგერაა, რომელსაც ადამიანის ყური ვერ აღიქვამს) გაგზავნილი სპეციალური გამომსხივებლით, ზღვის ფსკერიდან უკუიგდება, რომელსაც მიმღები იჭერს. დროის მონაკვეთის ზუსტი გაზომვა, სიგნალის გაგზავნიდან ეხოს დაბრუნების მომენტამდე, საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ სიღრმე, ვინაიდან ზღვის წყალში ბგერათა მერხეობის გავრცელების სისწრაფე ცნობილია.

ხელსაწყო სინათლის სიგნალებით გვიჩვენებს სიღრმეებს, ანდა ავტომატურად ხატავს ფსკერის პროფილის მრუდეს სპეციელურ ქაღალდზე.

ამ გზით იყო ნაპოვნი ყველაზე ღრმა ადგილი ზღვაში, ანუ ზღვის უფსკრული წყნარ ოკეანეში, რომლის სიღრმე 10860 მეტრს უდრის. ულტრაბგერა ჩაძირული ხომალდების მოსაძებნად და ამოსაღებად გამოიყენება.

ულტრაბგერა გამოიყენება, აგრეთვე, ტექნიკაში. მედიცინაც ბევრს ელის ულტრაბგერისაგან. სწავლულები მუშაობენ, რომ ბრმებს აპარატი შეუქმნან.

ბოლო ხანებში ეხოლტს იყენებენ თევზის გუნდების მოსანახად. ჩვეულებრივად ასეთ დაზვერვას თვითმფრინავი აწარმოებს. მაგრამ საჰაერო დაზვერვის დახმარებით თევზის მონახვა შეიძლება მხოლოდ უმნიშვნელო სიღრმეში და ისიც მაშინ, როცა ზღვა დაწყნარებულია. ეხოლოტს კი შეუძლია თევზი აღმოაჩინოს ყოველგვარ ამინდში, ყოველგვარ სიღრმეზე.

ეხოლტის დახმარებით შავ ზღვაში ორი კილომეტრის სიგრძეზე და 60 მეტრის სიმაღლეზე ნაპოვნი იყო ხამსის ვეებერთელა გუნდები.

ცდებმა დაგვანახვა, რომ ეხოლტს დიდი მნიშვნელობა აქვს, თევზის წარმოებისათვის.

ულტრაბგერას მომავალში დიდი გამოყენება ექნება.

პერუს დიდი კედელი

ყველამ იცის ჩინეთის დიდი კედლის შესახებ, მაგრამ ბევრს, ალბათ, არ გაუგონია პერუს დიდი კედლის არსებობა. ეს ძალზე ძველი ნაგებობაა, რომლის შესახებ დიდხანს ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ.

სამხრეთ ამერიკის რესპუბლიკა პერუში არის «დიდი კედლის» ნანგრევები. იგი იწყება მდინარე რიო-დე-სანტასთან და მთავრდება პერუს დედაქალაქთან. კედელი გადის მინდვრებსა და მთებზე. კედელში ერთმანეთისაგან დაშორებით ჩატანებულია კოშკები. ყველაზე დიდ კოშკს 100 მეტრი სიგრძე და 60 მეტრი სიგანე აქვს.

კედელი გადაჭიმულია 300 კილომეტრის სიგრძეზე. იგი აგებულია XIV—XV საუკუნეში.

შინაარსი

	გვ.
ლადო ასათიანი—მზიას ბანაკში მიუხარია (ლექსი)	1
ხუტა ბერულავა – მოსკოვი (ლექსი)	3
ნინო ჯავახიშვილი—ბავშვების დასაცავად (წერილი)	3
მარიკა ჯაფარიძე—წერილი (მოთხრობა)	4
ნიკოლას გილიენი—იავნანა (ლექსი, თარგმანი გ. გოგიაშვილისა)	7
ს. მარშაკი—მშობლიური ენის გაკვეთილი (ლექსი, თარგმანი ვ. ძნელაძისა)	8
ლენგსტონ ჰიუზი—კარუსელი (ლექსი, თარგმანი ვ. ნადარეიშვილისა და მ. მაჭავარიანისა)	8
ფ. ვიგდოროვა – გზა ცხოვრებისაკენ (მოთხრობა, თარგმანი თ. მთვარელიშვილისა)	9
სერგეი მიხალკოვი—ძია მიხო მილიციელი (პოემა, თარგმანი ირაკლი აბაშიძისა)	12
პიონერულ ია ხალ ია მბები	15
გიორგი ლომინაძე—ჩვენი მზიური არტეკი (ნარკვევი)	16
ეიგმონდ მორიცი—ვერ გამიგია, რა ადამიანები ხართ! (მოთხრობა, თარგმანი თ. სულიაშვილისა)	18
ბორის შენგელია—მეგობრები (მოთხრობა)	20
ე. მაზანაშვილი—მგლები (მოთხრობა)	21
ო. გიგინეიშვილი—პამირის მწვერვალებზე (ნარკვევი)	23
ედ. ყიფიანი—თვალსაცერა (ზღაპარი)	27
ვასილ ბაიაძე—გრიგოლ აბაშიძის საბავშვო პოემები (წერილი)	29
თ. გიორგაძე—მოვაწყოთ შეჯიბრება ჭადრაკში	30
მოკლედ ყველაფერზე	31
გასართობი	გარეკანის მე-3

გარეკანის პირველ გვერდზე — „გამოცდის წინ“ — ნახატი **რ. ცუცქირიძისა.** გარეკანის მეორე გვერდზე — „**ბაბუას სიამაყე**“ სახალხო მხატვრის **უჩა ჯაფარიძის** სურათის ფოტო-რეპროდუქცია. გარეკანის მეოთხე **გვერდზე — „ინგილო პიონერები თბილისში“** ფოტო **შ. ჩხეტიანისა.**

ჟურნალი დასურათებულია **კ. მახარაძის, გ. ფოცხიშვილის, ზ. ლეჟავას, რ. ცუცქირიძის, კ. ყარაშვილის, გ. თუთიბაძის, შ. ცხადაძისა** და **ლ. გუდიაშვილის** მიერ.

რედაქტორი რევაზ მარგიანი

სარედაქციო კოლეგია: რ. ელანიძე, გ. ვარდოსანიძე, რ. თაბუკაშვილი, მ. ლებანიძე (პ/მგ. მდივანი), **მარიჯანი, გ. ფოცხიშვილი** (სამხატვრო **რედაქტორი**), **ე. ქარელიშვილი, გ. შატბერაშვილი, ბ. შელია, ვ. ჭელიძე.**

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

„ПИОНЕРИ“ Ежемесячный детский журнал Центрального Комитета ЛКСМ Грузии. июнь № 6, 1955. Тбилиси, Ленина, 14. **რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის 14. 1 სართული. ტელ. 3—81—85.** საბლიტგამი.

უე 03253 ტირაჟი 15.000 ხელმოწ. დასაბ. 21/VI გამომც. შეკვ. № 135. სტამბის შეკვ. № 734. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“

ბიბლიო

გასართობი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოცანები

1.

წვერმაღვილი ჩხირი არის
მოსწავლეთა იარაღი;
რა ვუყოთ რომ გულშავია,
უყვარს თერთი იალაღი.

2.

ზურგზე თუ მოახტები,
იცის გაწამაწია,
პირშიც რკინა უპყრია,
ფეხზეც რკინა აცვია.

3.

როდესაც დაბინდდება,
ტყე-ტყე დაეხეტება.
დღისით თუ გაფრინდება,
ღობე-ყორეს ედება,
თუმც დიდი თვალები აქვს,
მაინც ვერ იხედება.

4.

თავზე ნაზარდია,
ჭირს და ლხინს არგია;
ხან ხელში უპყრიათ,
ხან უქმად აგდია.

გოგი ფარეთელი

5.

სტყუიხარ, თუ მართალი ხარ,
მაინც სასჯელს მოგაყენებს:
ფეხს დაადგამ—აგაცეკვებს,
დაჯდები და—აგაყენებს.

6.

ხან მძინარეს შეგაშფოთებს,
წამოხტები უცებ ზეზე,
ხან გიმღერებს, ხან გაცეკვებს,
ხან აგაფრენს მაღლა მზეზე.
სახლში ბუდე გაუწყვია,
არც წყალი სურს, არცა პური...
ქუჩებს, ბაღებს ახმიანებს
მუსიკით და ტაშ-ფანდურით.

ს. კრაწაშვილი

პასუხი ჟურნალ „პიონერის" № 5-ში მოთავსებულ გასართობზე

პასუხი „მათემატიკურ თავსატეხზე"



მოცემულ ჩვიდმეტ წრეში 1-დან 17-მდე უნდა ჩაიწეროს ისე, როგორც ნახაზზეა ნაჩვენები. მაშინ თითოეულ სამკუთხედზე განლაგებული შვიდი წრის რიცხვების ჯამი—50 იქნება.

პასუხი თავსატეხზე



სწორკუთხედი, რომელზეც ოთხი ხეა დახატული, დაჰყავით ისე, როგორც ნახაზზეა ნაჩვენები.

პასუხი ამოცანებზე „ხუმრობა ასანთის ღერებით"



პასუხი პირველ ამოცანაზე.

პასუხი მეორე ამოცანაზე.

5·251/35

ეროვნული ბიბლიოთეკა